პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

# კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ. ცეკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ № 4, მე 3 სართული.

მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ., № 14 მე-2 სართული ტელეფ. № 5—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 625 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება 10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

## დღიური

— ბოლგარეთში ქ. სოფიაში არჩევნებში გაიმარჯვეს კომუნისტებმა.

— ინდოეთის მუსულმანები მოითხოვენ მათი წარმომადგენლის ლოზანის კონფერენციაზე დაშვებას.

— სრულიად რუსეთის საბჭოების მეათე ყრილობა მოწვეულ იქნება 20 დეკემბრისთვის.

— 12 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნა „გლეხის ცენტრალური სახლი".

№ 263 ხუთშაბათი, 16 ნოემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 263

## აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს საბჭოების ყველა ცენტრალურ, საოლქო, საქალაქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს

1922 წლის 12 მარტს აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკების მშრომელთა მასების ნებაყოფლობით ამ რესპუბლიკებმა დასდეს ურთიერთ შორის ფედერატიული კავშირი და დაარსეს ამიერ-კავკასიის საბჭოთა მთავრობა საკავშირო საბჭოს სახით. ამიერ-კავკასიის ფედერაციამ რვა თვის არსებობით დაამტკიცა არა მარტო სიცოცხლის უნარიანობა, არამედ მისწრაფებაც ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის კიდევ უფრო მჭიდრო და მტკიცე კავშირისაკენ და ამიერ-კავკასიის სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ძმური გაერთიანებისაკენ. იღებენ რა ამას მხედველობაში, აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები 10 დეკემბერს იწვევენ ქალ. ბაქოში საბჭოების ამიერ-კავკასიის ყრილობას ყველა რესპუბლიკების საბჭოების სამაზრო ყრილობათა უშუალო წარმომადგენლობის საფუძვლებზე, ამასთანავე ნახიჩევანს, აჭარას და სამხრეთოსეთის ოლქს შეუძლიათ წარგზავნონ ყრილობაზე წარმომადგენლები უშუალოდ რესპუბლიკების და საოლქო საბჭოების ყრილობიდან.

საბჭოების ამიერ კავკასიის ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმა შემდეგია: ერთი დელეგატი ყოველ 3000 ამომრჩეველზე ქალ. ბაქოში, თფილისში, ერევანში, ბათუმში, სოხუმში, ალექსანდროპოლში, განჯაში, ქუთაისში და ფოთში, და ამიერ-კავკასიის ყველა დანარჩენ ადგილებიდან ერთი დელეგატი ყოველ 15.000 მცხოვრებზე.

**ყრილობის დღის წესრიგი:**

1) დებულება საბჭოთა ფედერაციის შესახებ.

2) საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ.

3) საკავშირო საბჭოს ანგარიში.

4) ამიერ-კავკასიის ფედერაციის კონსტიტუცია.

5) სოციალისტური რესპუბლიკების საბჭოების ყრილობაზე დელეგატების არჩევა.

6) ამიერ-კავკასიის ცენტ. აღმას. კომიტეტის არჩევნები და

7) მიმდინარე საქმეები.

ყრილობაზე დელეგატების არჩევნების ჩასატარებლად და ყრილობის მოსაწყობად შედგენილია საორგანიზაციო კომისია ამხ. შ. ელიავას, გ. ამბარცუმიანის, ხანბუდაგოვის, იაკუბოვის და ა. გეგეჭკორის შემადგენლობით, რომელსაც უნდა მიმართონ არჩევნების და ყრილობის შესახებ ყოველგვარ ცნობების მისაღებად; საორგანიზაციო კომისია მოთავსებულია ქ. თბილისში, სასახლე, საკავშირო საბჭო.

აზერბეიჯანის საბჭოების ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე— **აგამალი ოღლი.**

სომხეთის ცენტრ. აღმას. კომიტეტის თავმჯდომარე— **ს. ამბარცუმიანი.**

საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე— **ფ. მახარაძე.**

## მეტი მზრუნველობა წითელი არმიისათვის

ეხლახან დახურულ ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების კონფერენციის მუშაობის ერთ მთავარ საგანს შეადგენდა საკითხი წითელი არმიის და ფლოტის განმტკიცების შესახებ.

რაც არ უნდა ილაპარაკონ თვალთმაქცურად ნამდვილმა იმპერიალისტებმა „საბჭოთა იმპერიალიზმის"შესახებ,—წითელ არმიაზე მზრუნველობას ჩვენ ვერ მოვხსნით დღის წესრიგიდან, ვინაიდან ისაა საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთათვის მშვიდობიანობის მიმნიჭებელი, იმ მშვიდობიანობის, რომლისაკენ ასე ისწრაფვის საბჭოთა ხელისუფლება მთელი თავისი არსებობის განმავლობაში. სანამ კაპიტალისტურ ქვეყნებს, რომლებიც თაც გარშემორტყმულია საბჭოთა ფედერაცია, ხელი არ აუღიათ თავიანთ განზრახვაზე—მუშურ გლეხურ ხელისუფლების დამხობის, სანამ კიდევ არ არის აცილებული შესაძლებლობა ჩვენზე თავდასხმის, მანამდე საბჭოთა საზღვრებს ფხიზლად უნდა სდარაჯობდეს მძლავრი შეიარაღებული ძალა, რევოლიუციონური წითელი არმია. მაგრამ რომ ქვეყნის თავდაცვის ამოცანა ღირსეულად შეასრულოს წითელმა ლაშქარმა, საჭიროა მისი ყოველ მხრივ უზრუნველყოფა, ამასთან ისეთი ატმოსფერის შექმნა, როცა ყოველი წითელი არმიელი ხელშესახებად იგრძნობს, რომ მას უკან დგას მთელი მშრომელი მასსა, და არა მარტო განსაცდელის და პირდაპირი ბრძოლების დროს, არამედ მშვიდობიან პერიოდშიც, როცა გამოსულია უშუალო კავშირი ჯარსა და მშრომელთა შორის, როცა უკანასკნელნი ახლოს იღებენ მის სახარულსა და ჭირვარამს და ცდილობენ არა შემთხვევით, არამედ მუდმივ მათი ყოფა-ცხოვრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

რა თქმა უნდა, წითელ არმიის მატერიალურ დაკმაყოფილებაზე ზრუნვა შეადგენს სათანადო სახელმწიფოებრივ ორგანოების პირდაპირ დანიშნულებას და მათ მმართებთ ამ სფეროში მაქსიმალური ენერგიის გამოჩენა.

მაგრამ დღევანდელ პირობებში მშრომელთა სახელმწიფო, რომელსაც მცირე რესურსები გააჩნია, მარტო ვერ შესძლებს წითელი არმიის უზრუნველყოფას იმ ფარგლებში, როგორც ეს საჭიროა და სასურველი. ამიტომ ამ საქმეში აუცილებელია და მიზანშეწონილი ფართედ ჩაბმა როგორც მუშათა ორგანიზაციების, ისე სახელმწიფოს იმ ორგანიზაციების, რომლებსაც თუმცა ოფიციალურად, კანონით არა აქვთ ეს დავალებული, მაგრამ შესწევთ საამისო საშუალება. ჩვენ აქ ვლაპარაკობთ იგრედ წოდებულ შეფობის შესახებ. შეფობა, როგორც ერთგვარი ფორმა წითელ მეომრებთან ხალხის დაახლოვებისა და მათთვის დახმარების აღმოჩენისა, შემოღებულია ჩვენში, როგორც დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებშიც. მაგრამ უნდა ითქვას გულახდილად, რომ ის ორგანოები და ორგანიზაციები ჩვენში, რომელთაც უკისრიათ ეს საპატიო და საპასუხისმგებლო სახელწოდება, დღემდე ვერ იჩენენ საკმაო ხალისს და საქმიანობას. ჯარების ნაწილებსა და მათ შორის არ არის დამყარებული ის ახლო დამოკიდებულება და ურთიერთი კავშირი, რასაც გულისხმობს შეფობა. არ ჩანს ისეთი ზრუნვა, როგორსაც ისინი უნდა იჩენდნენ. ამასთან უნდა აღინიშნოს, ჩვენ ამ მხრივ ძალიან ჩამორჩენით მეზობელ რესპუბლიკებს. არას ვიტყვით რუსეთზე, სადაც მშრომელთა მხრით მათი დამცველთადმი დახმარების საქმე ფართოდაა დაყენებული, ავიღოთ ჩვენი გვერდით მყოფი აზერბეიჯანი. აზერბეიჯანის მშრომელები იშვიათ მზრუნველობას იჩენენ იქ მდგარ წითელ არმიის ნაწილებისადმი, თავისი ღარიბი ჯიბიდან გულუხვად უყოფენ მათ, რაც შეუძლიათ. აზერბეიჯანი ამ საქმეში მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს ჩვენთვის.

საჭიროა ყველამ შეიგნოს, ვისაც ეს ეხება, რომ წითელი არმიისათვის ზრუნვა პირველხარისხოვანი ამოცანაა, და საქმით გაამართლონ მზრუნველის, შეფის სახელი. ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არ არის წითელი არმიის მარტო მატერიალური დაკმაყოფილების საქმე, ესაა მჭიდროდ დაკავშირება მუშათა კლასსა და მის შეიარაღებულ, რევოლიუციის სადარაჯოზე მდგარ ძალას შორის. წითელ არმიისადმი ზრუნვას მშრომელთა მხრით აქვს უდიდესი რევოლიუციონური მნიშვნელობა ორივე მხარისათვის.

მუშათა კლასი ამით დაამტკიცებს, რომ მას მთელი სიღრმით აქვს შეგნებული წითელი არმიის, როგორც რევოლიუციის მონაპოვართა დამცველის, მნიშვნელობა. თვით წითელ არმიას ასეთი გულთბილი დამოკიდებულება და ყურადღება მუშათა კლასისა გააძლიერებს, მეტ ძალას შემატებს თავისი მძიმე მოვალეობის პირნათლად ასასრულებლად.

ამიტომ ვიმეორებთ, წითელ არმიას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. სახელმწიფო ორგანოებმა და მუშათა ორგანიზაციებმა მას უნდა გაუწიონ ყოველმხრივი დახმარება, მატერიალური, კულტურული და სხვა.

ამიერ-კავკასიის პარტიულ კონფერენციის რეზოლიუციაში წითელ ჯარის და ფლოტის, განმტკიცების შესახებ, რომელიც იბეჭდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში, ვრცლადაა ჩამოთვლილი სათანადო ორგანიზაციების მოვალეობა წითელი ჯარის მიმართ და მაზე ზრუნვის ფორმები. ჩვენმა ორგანიზაციებმა და სხვა საამისო დაწესებულებებმა ეს უნდა მიიღონ მხედველობაში და მთელი ძალღონით შეეცადონ პარტიის უმაღლეს ორგანოს დირექტივების გადაუხვევლად გატარებას ცხოვრებაში.

## ახალგაზრდათა კომინტერნის მესამე კონგრესისათვის

II

1919 წელი ეს ის დროა, როდესაც აღარ ისმის იმპერიალისტური ომის ზარბაზნის ქუხილი. მდგომარეობა გამორკვეულია. გაიმარჯვა ანტანტამ და საშინელი ხოცვა ჟლეტა შესწყდა. ეს არის ევროპის ყველა ქვეყნის ბურჟუაზიისათვის, კრიტიკული ხანა. მაგრამ რაც დრო გადის, მით უფრო აშკარავდება, ოპორტუნისტული პარტიების საქმიანობით პროლეტარიატი კიდევ ვერ დგამს გადამწყვეტ ნაბიჯს, ვერ იყენებს მოხერხებულ დროს, თანდათან ვითარდება ნიშნები ბურჟუაზიის მშვიდობიანათ გამოსვლისა გაურკვეველ პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობიდან. მენშევიკებმა მოატყუა მუშათა კლასი 1914 წელში, პაციფისტურ და ნაციონალისტურ ლოზუნგების ქვეშ ჩაითრია ის იმპერიალისტურ ომში, ხოლო 1919 წლიდან, ქადაგებს, რომ სოციალისტური რევოლიუციის მოსახდენათ საჭიროა განადგურებულ საწარმოო ძალების აღდგენა, ამით მან მისცა დაქსასულ ძალთა შეკრების და გამარჯვების საშუალება ბურჟუაზიას.

ამის შემდეგ ყველასათვის უდაო გახდა ის ფაქტი, რომ მეორე ინტერნაციონალი და მასში შემავალი ყველა სოციალ-დემოკრატიული და სოციალისტური პარტიები, გარდა უმნიშვნელო მემარცხენე ფრთისა, რომელიც ჯერ კიდევ 1914 წელს გამოეყო ინტერნაციონალს და კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსებას შეუდგა, იმყოფება ბურჟუაზიის სამსახურში, რომ ამ პარტიების გზით სვლა დაღუპვაა მუშათა კლასისათვის.

საჭირო გახდა მუშათა მოძრაობის ისეთი სახელმძღვანელო ცენტრი, რომელიც მისცემდა მოქმედების და ბრძოლის გარკვეულ გეზს მუშათა იმ მასსებს, რომლებსაც არ დაეკარგათ რევოლიუციონური აქტივობა და არ იყვნენ შებოჭვილი ოპორტუნისტული სულით. ასეთი მდგომარეობის აშკარა გამომხატველი იყო სწორეთ კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსება. ეს იყო საქმე 14 ქვეყნის მცირერიცხოვან კომუნისტურ ჯგუფები, რომლებმაც, გამარჯვების მტკიცე იმედით, საფუძველი ჩაუყარეს პროლეტარიატის საუკეთესო გაერთიანებას. თუ ასეთი მდგომარეობა იყო შექმნილი მუშათა მოძრაობაში, უარესი იყო მუშათა ახალგაზრდობაში. ომმა ყველაზე მეტათ მუშათა ახალგაზრდობას გაავლო მუსრი. მისი სისასტიკე პროლეტარულ ახალგაზრდობას დაატყდა თავზე. ეკონომიური პირობები განსაკუთრებით ამ ახალგაზრდობისთვის გართულდა. ნაწილობრივ მონაპოვარნი სამუშაო დროის და ხელფასის სფეროში, რომელიც ძვირად დაუჯდა მას, ომის შემდეგ თითქმის გაუქმებული იქნა.

ახალგაზრდობა აუტანელ გაჭირვებაში ჩავარდა და ამას ზედ დაერთო მისი ორგანიზაციული სისუსტე. ეს მდგომარეობა არ შეიძლება დარჩენილიყო შეუმჩნეველი ახალგაზრდათა ინტერნაციონალისთვისაც. გადაწყვეტილი იქნა ინტერნაციონალის კონგრესის მოწვევა 1919 წ. ზაფხულში ქ. ბუდაპეშტში. მაგრამ, ვინაიდან ამ დროს უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის არსებობის კრიტიკული მომენტი დადგა, ამიტომ შეუძლებელი შეიქნა იქ კონგრესის მოწვევა. აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში ქ. ვენაში უნდა შემდგარიყო ის, მაგრამ დელეგატების მცირე რიცხვის გამო კონგრესი არ შედგა, მხოლოდ ამორჩეული იქნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც მიენდო მოკლე დროში კონგრესის მოწვევა გერმანიაში. ნოემბერში, ბერლინში გაიხსნა ახალგაზრდათა ინტერნაციონალის მეხუთე კონგრესი. ახალგაზრდათა სოციალისტური ინტერნაციონალი გამოცხადებულ იქნა **ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალათ.** ბერლინის კონგრესი—მის პირველ კონგრესათ. ახალგაზრდათა კომინტერნს დაედო საფუძვლათ ყველა ის პრინციპები, რომელიც აღიარა კომუნისტურმა ინტერნაციონალმა. ამიერიდან ახალგაზრდათა სოციალისტური ინტერნაციონალი წმინდა კომუნისტური ორგანიზაცია გახდა, რომელსაც ევალებოდა კომუნისტური იდეების პოპულიარიზაცია მუშათა ახალგაზრდობაში, ბრძოლა ახალგაზრდობის ეკონომიურ ინტერესებისათვის და შექმნა მათგან პროლეტარულ რევოლიუციისთვის ძლიერი რაზმისა. ბერლინის კონგრესზე დაესწრო 14 ქვეყნის წარმომადგენელი. ამ კონგრესის უმთავრესი მნიშვნელობა იმაში გამოიხატებოდა, რომ მან საბოლაოთ გასწყვიტა ყოველგვარი კავშირი ოპორტუნისტულ ახალგაზრდობასთან და გააერთიანა ახალგაზრდობის ყველაზე უფრო რევოლიუციონურის და შეგნებული ნაწილი. გარკვეული იქნა ახალგაზრდობის ადგილი პროლეტარიატის ბრძოლაში, დამოკიდებულება კომუნისტურ ინტერნაციონალთან და მის ცალკე სექციებთან, დამოკიდებულება ახალგაზრდათა სხვა ორგანიზაციებთან. ბერლინის კონგრესმა დასაწყისი მისცა ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების არაჩვეულებრივი ზრდას, და ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობაში გარკვეულობის შეტანის. იქ ამორჩეულმა სწორეთ ამ მიმართულებით განავითარა შემდეგი მუშაობა. აღმასკომი ამ ხანებში იმყოფებოდა ბერლინში და ამიტომ ხშირათ არა რეგალური მუშაობა უხდებოდა, რაიც აბრკოლებდა მის ნაყოფიერებას. მე 2 ინტერნაციონალის „აღდგენის" და 2 ნახ. ინტერნაციონალის დარსებასთან ერთად 1920 წელში, არსდება ოპორტუნისტული ახალგაზრდობის მეორე და ორ ნახ. ინტერნაციონალები.

1920 წელს ახალგაზრდათა კომინტერნის მორიგი კონგრესი არ შემდგარა სხვა და სხვა მიზეზების გამო. მხოლოდ 1921 წელს კომინტერნის მესამე კონგრესის დასრულებისა შემდეგ მოსკოვში გაიხსნა მეორე კონგრესი. მასზე იყო წარმოდგენილი 40 ქვეყნის ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაციები 150 დელეგატი 800 000 ორგანიზაციულად შეკავშირებულ წევრებისაგან. ამ კონგრესზე პირველად მიიღო მონაწილეობა საქ. ახალგაზრდათა კომუნისტურმა კავშირმაც.

მეორე კონგრესი იყო პროლეტარული ახალგაზრდობის ძლიერი დემონსტრაცია და მაჩვენებელი მისი, რომ მსოფლიოში შეიქმნა კომუნისტური ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი მოძრაობა, რომელიც დღითი დღე ვითარდება ახალგაზრდათა კომინტერნის მეორე კონგრესამდის შემდგარმა კომუნისტური ინტერნაციონალის მესამე კონგრესმა განსაზღვრა, **რომ ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის ძირითადი ამოცანა არის პროლეტარული ახალგაზრდობის ფართე მასების კომუნისტურათ აღზრდა.** ამიტომ კონგრესის მთელი მუშაობა ამ კითხვის ირგვლივ სწარმოებდა. ჯერ კიდევ კომინტერნის მესამე კონგრესმა იცნო აუცილებლათ მასსებთან დაახლოვება, მათზე გავრცელება კომუნისტური გავლენის, გაერთიანება პროლეტარიატის დაქსაქსული ძალების და ძლიერი ფრონტის შექმნა შეტევაზე გადმოსულ კაპიტალის წინააღმდეგ.

მანმოითხოვა პრაქტიკული მუშაობის მეთოდებისდა ამოცანების შეცვლა გადასვლა „წმინდა" კომუნისტურ ვიწრო ორგანიზაციებიდან მუშათა ახალგაზრდობის ფართე კომუნისტურ მოძრაობაზე, სადისკუსიო კლუბებიდან—მასიურ კომუნისტურ აღზრდაზე. ასეთი გეგმით ვითარდება ამ ერთი წლის განმავლობაში ახალგაზრდათა კომინტერნის მეორე კონგრესის ამოცანების ცხოვრებაში გატარება.

მესამე კონგრესის წინაშე დღეს იგივე კითხვებია წამოჭრილი, მომავალი კონგრესის მუშაობა უნდა მოუნდეს სანახევროთ მაინც იმ კითხვების განხილვას, რომელიც ერთი წლის უკან ყოველმხრივ შეფასებულია და გარკვეული იყო. რაშია საქმე, რა იყო ის ხელისშემშლელი პირობები, რომ ამოცანა ვერ იქნა შესრულებული? ეს კითხვა მთელი თავისი მნიშვნელობით წამოჭრილია როგორც ახალგაზრდათა კომინტერნის, ისე უფრო მეტად კომუნისტური ინტერნაციონალის მეოთხე კონგრესის წინაშე.

ჩვენ ვიცით, რომ ახალგაზრდათა კომინტერნზე ადრე, კომუნისტურმა ინტერნაციონალმა გადისროლა ლოზუნგი „მასსებისაკენ" და მთლიანი პროლეტარული ფრონტის შექმნა და სხვ.

მან მიმართა სათანადო მოწოდებით მე-2 და 2 ნახ. ინტერნაციონალებს, რათა უკანასკნელთ მხურვალე მონაწილეობა მიეღოთ მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნაში, რომ სამივე ინტერნაციონალს უნდა მოენახა საერთო ენა, მიეღწიათ შეთანხმებისათვის პროლეტარიატის დასარაზმათ.

## ამიერ-კავკასიის პარტიული კონფერენცია

### რეზოლიუციები.

სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა **ამხ. ორჯონიკიძე.**

ამ მოხსენების გამო ერთხმად მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

მოისმინა რა ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ, კონფერენცია ადგენს:

1. სავსებით იწონებს კომისიის გადაწყვეტილებას ამ საკითხის გამო.

2. სცნობს რომ რესპუბლიკათა კავშირში საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი უნდა შევიდნენ საერთო ოჯახის სახით, ამიერ-კავკასიის ფედერაციის საშუალებით.

3. მომავალი კავშირის და ამიერ-კავკასიის ფედერაციის და მის ორგანოების იურიდიული საფუძვლის განსაზღვრისათვის — დაარსდეს — 5 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც მის მიერ გამომუშავებულ პროექტს წარუდგენს დასამტკიცებლად ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს.

4. რესპუბლიკათა კავშირის საკითხის გადასაჭრელად და ფედერაციის კონსტიტუციის პროექტის შესამუშავებლად ა. წ. 10 დეკემბერს მოწვეულია საბჭოთა ამიერ-კავკასიის ყრილობა, სამაზრო და ცალკე რესპუბლიკათა საბჭოების ყრილობათაგან დამოუკიდებლად. საბჭოთა ამიერ-კავკასიის ყრილობა მოწვეულია სამ რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასკომის სახელით.

ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმა: 3.000 ამომრჩევლისაგან ქალ. ბაქოს, თბილისის, ბათომის, ერევნის, სოხუმის, ალექსანდროპოლის, ფოთის, ქუთაისის და განჯის—ერთი დელეგატი და 15 ათას მცხოვრებთაგან, რესპუბლიკების ყველა დანარჩენ ადგილებიდან ერთი დელეგატი.

არმიაში არჩევნები სწარმოებს საერთო საფუძველზე.

**არმია და ფლოტი.**

წითელი არმიის და წითელი ფლოტის განმტკიცების საკითხზე მოხსენება გააკეთეს ამხ. ეგოროვმა, ანსკიმ და ვრაჩევმა.

მათი მოხსენების გამო მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ამიერ კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების პირველი ყრილობის დადგენილების თანახმად ამიერ კავკასიის რესპუბლიკების პირველი კონფერენცია ადგენს:

1) წითელი არმიისა და ფლოტისათვის დახმარების აღმოჩენის საქმე აღიარებულ იქნას პირველ ხარისხოვან პარტიულ და სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანად.

2) დადასტურებულ და უცილებლად შესრულებულ იქნას ამიერ კავკასიის პარტიული ყრილობის დადგენილებანი; წითელი არმიისა და ფლოტისათვის დახმარების ღონისძიებათა და მასთან დაახლოვების საშვალებათა შესახებ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის ცენტრალურმა და ადგილობრივმა კომიტეტმა თვალყური უნდა ადევნონ, რათა სათანადო მთავრობებმა და დაწესებულებებმა მიიღონ საჭირო ზომები, არმიის მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

3) ყურადღება მიექცეს იმ ორგანოების და დაწესებულებათა მუშაობას, რომელნიც აწვდიან სურსათ-სანოვაგეს არმიას და ფლოტს და თვალყური ადევნონ იმას, რათა არა მარტო დაკმაყოფილდეს არმიის ყოველდღიური მოთხოვნილებანი, არამედ შეიქმნეს მტკიცე სათადარიგო მატერიალური ფონდი.

4) სათანადო და სერიოზული ყურადღება მიექცეს ყაზარმების შეკეთების საქმეს.

5) წითელი არმიის და ფლოტის საკომანდო და პოლიტიკურ მუშაკთა შემადგენლობა უნდა გახდეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების, აღმასკომების და ფედერაციის ყველა ორგანოთა საზრუნავ საგნად. კერძოთ, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებზე საჭიროა გავრცელდეს და შეურყევლობით გატარდეს ცხოვრებაში საკომანდო და პოლიტიკურ შემადგენლობისათვის შეღავათების მინიჭება, რომელიც დაწესებულია საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს და რევოლიუციონურ საბჭოს დეკრეტებით და დადგენილებებით (ბინების მიცემის, კომუნალურ სამსახურის, საექიმო დახმარების, ბავშვთა აღზრდის და სხვ. დარგში).

6. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამხედრო-პოლიტიკურ კურსებს, რათა ჩაყენებულ იქნან ისინი უკეთეს მატერიალურ და გონებრივ პირობებში.

7. მიღებულ იქნას ზომები სამოქალაქო ომში დასახიჩრებულთა უზრუნველსაყოფად.

8. გაეწიოს დახმარება არმიის პოლიტიკურ ორგანოებს პოლიტიკურ-განათლების საქმეში, სათანადო მატერიალურ საშუალებათა (გაზეთების, ლიტერატურის სასწავლო სახელმძღვანელოების) მიწოდებით და კერძოთ, წითელ არმიელთა კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კავკასიის ცალკე არმიის გაზეთის და ჟურნალის („კრასნი ვოინი" და „კრასნი ბოეც"-ის) ხელის შეწყობას.

9. ეძლევა რა უმაღლესი მნიშვნელობა წითელ არმიის და ფლოტის მშრომელ მასებთან დაკავშირებას და ამ საქმეში პროლეტარული მზრუნველობის შეფობის ინსტიტუტის როლს, მიენდოს ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს, რათა სათანადო ორგანოებთან ერთად შეიმუშაოს სამხედრო ნაწილების საბჭოებთან, აღმასკომებთან, და კავშირებთან მიწერის სისწორე და შეფების მიერ თავიანთი მოვალეობათა აღსრულება.

რათა უფრო სისტემატიური ხელმძღვანელობა გაეწიოს შეფების მუშაობას, სასურველია იქნას აღიარებული სათანადო საუწყებათაშორისო ორგანოების (შეფების ბიუროების) მოწყობა.

10. არმიის პოლიტიკურ ორგანოებსა და პარტიულ კომიტეტებს შორის კავშირის განსამტკიცებლათ, მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების პირველი ყრილობის რეზოლიუციის სათანადო მუხლები პარტიულ აღმშენებლობის საკითხის შესახებ (ნაწილი თექვსმეტი მუშაობა არმიაში).

11 სამხედრო ნაწილებს, სამხედრო უწყებებს ორგანოების და ყველა საბჭოთა ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა შორის უფრო მტკიცე კავშირის და ნამდვილ საქმიანი კონტაქტის დასამყარებლად—საჭიროა უზრუნველყოფილი იქნეს არმიის წარმომადგენლობა ყველა არჩეულ საბჭოთა ორგანიზაციებში (ადგილობრივ საბჭოებში, აღმასკომებში, რესპუბლიკების ც. ა. კ.-ებში).

12. ყველა აღნიშნულ ღონისძიებათა წარმატებით გასატარებლათ, საჭიროა, ხელმძღვანელ, არჩეულ და საბჭოთა ორგანიზაციებმა იქონიონ მუდმივი და სწორი ცნობები არმიის ყოფა ცხოვრების შესახებ. ამ მიზნით დაევალოს პარტიულ კომიტეტების პასუხისმგებელ მდივნებს, რათა არა ნაკლებ კვირაში ერთხელ ინახულონ სამხედრო ნაწილების ბინები და აგრეთვე რეგულიარული ინფორმაცია მიაწოდონ უმაღლეს პარტიულ ორგანიზაციებს არმიის მდგომარეობის

და ყაზარმული ცხოვრების გასაუმჯობესებლად მიღებულ ზომების შესახებ".

**მისალმება წითელ-არმიას**

შემდეგ მიღებულ იქნა მისალმება წითელი არმიისა და ამიერ-კავკასიის წითელი ფლოტისადმი:

კომუნისტური ორგანიზაციების მეორე პარტიული კონფერენცია სალამს უძღვნის ამიერ კავკასიის სახელოვან წითელ არმიას მისი შემადგენლობის განახლების გამო.

წითელ არმიის რიგებში შესულო ახალგაზრდათა მებრძოლნო! თქვენ გაგზავნილი ხართ ჯარში მშრომელთა რესპუბლიკის და მსოფლიო რევოლიუციის წინაშე დიდი მოვალეობის შესასრულებლად. თქვენ წინ გიძევთ მძიმე ამოცანები: მიღება ელემენტარული და პოლიტიკური (კოდნისა და სამხედრო საქმის შესწავლა მოკლე ხანში. მაგრამ თქვენ, მშრომელი ერის საუკეთესო შვილები, ამ ამოცანებს შეასრულებთ,—ამის თავდებია მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სახელოვანი წარსული.

ამიერ-კავკასიის მშრომელი ერები, რომელნიც გამსჭვალული არიან პატივის ცემისა და მხურვალე სიყვარულის გრძნობით წითელი არმიისადმი, გაგიწევენ შეძლებისდაგვარ დახმარებას თქვენი, მეტად მძიმე, ცხოვრების პირობების შესამსუბუქებლად და გასაუმჯობესებლად.

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების მეორე პარტიული კონფერენცია გამოსთქვამს რწმენას, რომ ახალგაზრდა ამხანაგური ახალი გაწვეული წითელ არმიელები ღირსეულად შეასრულებენ წითელი არმიელის მოვალეობას და შეინარჩუნებენ სახელოვან კავკასიის ცალკე არმიის სახელოვან აღთქმებს და ტრადიციებს.

გაუმარჯოს ჩვენს განახლებულს წითელ არმიას!

გაუმარჯოს წითელ ფლოტს!

გაუმარჯოს წითელი არმიის და ფლოტის მჭიდრო და ურყევ კავშირს მშრომელ ერებთან!

**მისალმება კომინტერნს**

ამხ. ლომინაძის წინადადებით ამიერ კავკასიის პარტიული კონფერენცია სალამს უგზავნის მოსკოვში მოწვეულ კომინტერნის მეოთხე კონგრესს და ამხ. ლენინს.

მისალმება შემდეგი შინაარსისაა:

ამიერ კავკასიის პარტიული კონფერენცია აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის მუშებისა და ღარიბ გლეხკაციების სახელით უგზავნის თავის კომუნისტურ სალამს კომინტერნის მეოთხე კონგრესს. კომუნისტური ინტერნაციონალის დროშისა და ლოზუნგის ქვეშ ამიერ-კავკასიის მშრომელნი იბრძოდენ მემამულეთა და კაპიტალისტების ჩაგვრისაგან თავის დასახწევათ. ამ დროშის ქვეშ მოიპოვეს მათ გამარჯვება თავის კლასიურ მტრებზე. მოიშორა რა თავიდან კაპიტალის უღელი საბჭოთა ამიერ-კავკასია ამ ჟამად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ანხორციელებს ინტერნაციონალის დიად აღთქმას: ყველა ეროვნების მუშათა და გლეხთა ძმობა და სოლიდარობა, მათი გაერთიანება ბრძოლაში კლასიურ საზოგადოების სრულიად მოსასპობად. კომინტერნის მეოთხე კონგრესს, რომელიც შეიკრიბა გადამწყვეტ ბრძოლებისათვის ძალების დასამზადებლად და მთელს მსოფლიოში ბურჟუაზიის დასამხობად, ამიერ-კავკასიის პარტიული კონფერენცია უგზავნის თავის საუკეთესო სურვილს და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ნაყოფიერად იქნება გადაჭრილი გრანდიოზული ამოცანები, რომელიც სდგას საერთაშორისო მუშათა კლასის წინაშე.

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ ოქტომბერს!

---

ეს სრულებით არ ნიშნავდა სამი ინტერნაციონალის ორგანიულ გაერთიანებას, არამედ ეს იყო ბრძოლა მუშათა კლასისთვის ელემენტარულ ეკონომიურ უფლებების მოსაპოებლათ. ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა. მე-2 და 2 ნახ. ინტერნაციონალებმა ჩაშალეს ე. წ. ცხრათა კომისია. მათ მახვილი ჩასცეს მუშათა მთლიანი ფრონტის საქმეს. ბურჟუაზიის ერთგულმა მოსამსახურეებმა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც ბოიკოტი გამოუცხადეს მუშათა მთლიანი ფრონტის იდეას.

ამის შემდეგ კომინტერნს მოუხდება დამოუკიდებლივ განხორციელება ამ იდეისა და ეს არის მეოთხე კონგრესის დიდათ საზრუნავი საკითხი.

ანალოგიურ მოვლენას ქონდა ადგილი ახალგაზრდათა კომინტერნსა ტყვითელ და 2 ნახ. ინტერნაციონალებს შორის. კაპიტალის შემოტევამ თუ ვინმეს მიაყენა შევიწროება, ეს პირველ ყოვლისა მუშათა ახალგაზრდობას. კაპიტალი ყველაზე უფრო ახალგაზრდობაზე ავრცელებს ახალ „წესებს", რადგან ამ უკანასკნელის დამორჩილება ადვილია, რადგან ის იმდენ წინააღმდეგობას როდი გაუწევს, როგორც მუშათა უფროსი თაობა.

ამ უკანასკნელ ხანებში მთელ რიგ ქვეყნებში, (როგორც ინგლისში, გერმანიაში, პოლონეთში და ავსტრო-უნგრეთში) სამუშაო დრო მცირე წლოვანთათვის არა თუ 4 ან 6 საათით განისაზღვრება, არამედ 8 და 9 საათს სცილდება.

მოზარდის სამუშაო ხელფასი უმნიშვნელოა. მათ განათლებაზე და მცირე წლოვანთა შრომის აკრძალვაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ხელმძღვანელობდა რა უმწეოთ დაყრილ მუშათა ახალგაზრდობის მდგომარეობით ახალგაზრდათა კომინტერმა „ცხრათა კომისიის" დაშლის შემდეგ მიმართა ახალგაზრდათა მე 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალებს პროლეტარული ახალგაზრდობის მთლიანი ფრონტის შესაქმნელად, მუშათა ახალგაზრდობის საერთაშორისო კონგრესის დაუყოვნებლივ მოსაწვევათ. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, უმცროსები თავიანთ უფროსებს. გაყვნენ, ყურიც არ ათხოვეს ახალგაზრდ. კომინტერნს. მუშათა ახალგაზრდობის საერთაშორისო კონგრესი, რომლის მოწვევას დიდი მონდომებით ცდილობდა ახალგაზრდათა კომინტერნი აგვისტოში და სექტემბერში, ვერ იქნა მოწვეული დღემდე და არც არის იმედი მისი მოწვევის სოციალ-დემოკრატიულ ახალგაზრდობასთან ერთად. ამგვარად მეორე კონგრესის უმთავრესი ლოზუნგი, რათა კომუნისტური აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობის ფართე მასებში გადატანილიყო, ახალგაზრდათა მოღალატე ორგანიზაციების მეოხებით საჭირო შედეგებით ვერ დაგვირგვინდა ჯერ. მაგრამ ამ ცდამ, რომელსაც მიმართა აკ. მ მაინც დიდი სარგებლობა მოიტანა. ამის შემდეგ მე 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალები, (რომლებიც დღეს შეერთებისკენ ილტვიან, და ერთი ინტერნაციონალის სახით მოგვევლინებიან) განზე იქნება დატოვებული მუშათა ახალგაზრდობის შესაკავშირებელ მუშაობის დროს. ბრძოლა მათ წინააღმდეგ მომავალში ბევრად გაადვილდება, ვინემ ეს დღემდის იყო. მათი ნამდვილი ფიზიონომიის გამოაშკარავება ერთი დიდ მიღწევათაგანი იქნება, ამიტომ მესამე კონგრესი სხვა მრავალ საჭირბოროტო კითხვათა შორის ამ კითხვას არა უკანასკნელ რიგში მოათავსებს.

ვუსურვოთ ნაყოფიერი მუშაობა საერთაშორისო პროლეტარული ახალგაზრდობის საუკეთესო ხელმძღვანელს, რომელიც იბრძვის მისი განთავისუფლებისთვის.

**დ. ჭ.**

# წითელი-დეპეშები

## ახლო აღმოსავლეთის ამბები

**ოსმალეთის სულთანი.**

**მოსკოვი.** 15 ნოემბერი. სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ სულთანი ჯერ კიდევ სასახლეში იმყოფება. გარრინგტონი არწმუნებს მას, არ სთქვას უარი ტახტზე.

— რეიტერის სააგენტოს ცნობით, სულთანმა განაცხადა, რომ ის არას შემთხვევაში არ გადადგება ტახტიდან და რომ ის თვლის თავის თავს 300 მილ. მუსულმანების უზენაეს მეთაურად.

**სტამბოლში.**

**მოსკოვი.** 15 ნოემბერი. ინგლისელებმა მოზიდეს სტამბოლში 15 ჰიდროპლანი და ახდენენ ფრენას ქალაქზე. ანგორის პრესის აზრით ინგლისელები ამით ცდილობენ წააქეზონ მცხოვრებნი უწესობებზე.

— საოკუპაციო ჯარები და პოლიცია დადიან თავისუფალ ტანისამოსით. სტამბოლის მცხოვრებთა შორის საოკუპაციო ხელისუფლებისაგან ვრცელდება ცრუ ხმები, თითქოს სულთანის ტახტიდან ჩამოგდება მოხდა ბოლშევიკების გავლენით.

— სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ დიდმა ეროვნულმა ყრილობამ უარყო საკავშირო კომისართა კომპრომისული წინადადება სტამბოლის მართვა-გამგეობის შესახებ.

— მდგომარეობა სტამბოლში კვლავ კრიტიკული რჩება. არა ოფიციალურად იტყობინებიან, რომ მოკავშირეთა ჯარებს სტამბოლში ქემალისტებისაგან მოელიან საფრთხეს.

— ოსმალეთის ხელისუფლებანი შეუდგენ კაპიტულაციის რეჟიმის ლიკვიდაციას სტამბოლში.

**ლოზანის კონფერენცია.**

**მოსკოვი.** 15 ნოემბერი. „პტი პარიზიენ" ახასიათებს ახლო-აღმოსავლეთის მდგომარეობას ორი ძირითადი დებულებით: საფრანგეთის ახალი პოზიციით და ინგლისის ჯიუტობით, რომელსაც არ სურს მიიღოს მონაწილეობა ლოზანის კონფერენციაზე საფრანგეთთან შეთანხმებამდე. ამიტომ შესაძლებელია, რომ კონფერენცია გაიხსნება ინგლისის დაუსწრებლად, რომელიც მიიღებს მონაწილეობას შემდეგში, საფრანგეთთან შეთანხმების შემდეგ.

— უკანასკნელი ცნობების მიხედვით ლოზანის კონფერენციაზე დაესწრებიან მესოპოტამიის და ეგვიპტის დელეგატები.

**მოკავშირეების პოზიცია.**

**მოსკოვი.** 15 ნოემბ. ლონდონის პოლიტიკურ წრეებში არევ-დარევაა გამეფებული. ახლო-აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობის გამო, ბონარლოუმ განაცხადა, რომ მდგომარეობა არა ნაკლებ სერიოზულია, ვინემ იყო ჩანაკზე ქემალისტების შემოტევის დროს. ლონდონში არევ-დარევა ძლიერდება, ვინაიდან პუანკარემ უარი განაცხადა ლოზანის კონფერენციის მოწვევამდე ინახულოს კერზონი და მუსოლინი. „პტი პარიზიენის" ცნობით ინგლისი არჩევს არ მიიღოს მონაწილეობა ლოზანის კონფერენციაზე, ვინემ მაზე მოკავშირეებთან შეუთანხმებლად იმოქმედოს.

## სხვადასხვა ამბები

**ლატვია და რუსეთი**

**მოსკოვი.** 15 ნოემბ. რუს. სოც. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლად ლიტვაში დაინიშნა პაიკესი, რომელიც რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იყო ჩინეთში.

**სახალინის ოკუპაციის გამო**

**მოსკოვი.** 15 ნოემბ. იოფფემ პროტესტით მიმართა იაპონიის მთავრობას იაპონიის ჯარების მიერ სახალინის ოკუპაციის გაგრძელების გამო. იოფფემ აღნიშნა, რომ რუსეთის მთავრობა სდგას იმ თვალსაზრისზე, რომ საჭიროა იაპონიას მიეცეს ზოგიერთი კომპენსაცია კონცესიების სახით სახალინზე, მხოლოდ მოითხოვს იაპონიის ჯარებისაგან სახალინის დაუყონებლივ ევაკუაციას.

**ბულგარეთი**

**კომუნისტების გამარჯვება ბულგარეთში.**

**მოსკოვი.** 15 ნოემბ. სოფიის ქალაქის არჩევნებში კომუნისტებმა მიიღეს 22 ადგილი, სოც.—დემ. 2; მთავრობის პარტიას უმრავლესობა ეყოლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კომ. მას მხარს დაუჭერენ კომუნისტები.

**ინდოეთი.**

**ინდოეთის მუსულმანების მოთხოვნილებანი.**

**ბერლინი.** 15 ნოემბერი. სიმლიდან იტყობინებიან, რომ მეფის მოადგილემ ინდოეთში მიიღო 25 მუსულმანი, საკანონმდებლო ორგანოთა წევრნი, რომლებმაც აღნიშნეს ის, თუ რა დიდი შთაბეჭდილება იქონია ინდოეთის მუსულმანთა მასებზე ოსმალეთის გამარჯვებამ, იმათ გამოთქვეს იმედი, რომ ზავის პირობები არ იქნებიან ოსმალეთის ეროვნულ ღირსების წინააღმდეგ მიმართულნი. დელეგაციამ წარადგინა მოთხოვნილება, რომ ლოზანის კონფერენციაზე აუცილებლად დაშვებულ იქნას მუსულმანურ ინდოეთის წარმომადგენელი.

მეფის მოადგილემ აღუთქვა დელეგაციას, რომ ის ყოველივე მათ მიერ თქმულს გადასცემს ინგლისის მთავრობას.

**გერმანია**

**უწესოებანი ბერლინში.**

**მოსკოვი.** 15 ნოემბ. ბერლინში მოხდა უწესოებანი სიძვირის ნიადაგზე. მუშების ცოლები ძალით იჭრებოდენ დუქნებში და გამოჰქონდათ პროდუქტები.

**კავშირი კომუნისტებთან.**

**მოსკოვი.** 15 ნოემბ. საქსონიის გაერთიანებულმა სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ" დაადგინა ოფიციალური წინადადება მისცეს კომუნისტებს, რომ ისინი შევიდნენ სოციალისტურ მთავრობაში.

**სამინისტრო კრიზისი გამო გერმანიაში.**

**პარიზი.** 15 ნოემბ. ბერლინში ლაპარაკობენ სამინისტრო კრიზისის ოთხნაირად დამთავრების შესახებ: პირველი შესაძლებლობა—მთავრობის შედგენა ახალი პირებისაგან ყოფილ კოალიციასთან ერთად, მეორე შესაძლებლობა—მთავრობის შედგენა მხოლოდ ბურჟუაზიულ პარტიების წარმომადგენლობისაგან, მესამე მთავრობის შედგენა ფორტის მეთაურობით სპეციალისტებისაგან, და მეოთხე—მთავრობის კოალიციის შედგენა ცენტრისა და სოციალისტებისაგან.

**იაპონიაში**

**მოსკოვი.** 15 ნოემბ. ჩინეთის მთავრობის მრჩეველმა ანდერსონმა განაცხადა, რომ იაპონია სდგას შემდეგი დილემის წინაშე: ან სოციალური რევოლიუცია, ამ ომი ამერიკასთან. ანდერსონის აზრით იაპონიას ურჩევნია ომი. მომავალი ზავი დამოკიდებულია ჩინეთ-რუსეთ-ამერიკის დაახლოებისაგან.

**პოლონეთი**

**ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ.**

**მოსკოვი.** 15 ნოემბ. სეიმის დეპუტატად არჩეული კომუნისტი რიკაცკი დაპატიმრებულ იქნა იმ დროს, როდესაც შორდებოდა საარჩევნო ყუთს თავის ხმის მიცემის შემდეგ.

**იტალია.**

**ოქტომბრის ხუთი წლის თავი იტალიაში.**

**მოსკოვი.** 15 ნოემბ. ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად იტალიის კომპარტიამ მოაწყო ტურინში მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ სოციალისტები და უპარტიონი.

**ფაშისტები.**

**რომი.** 15 ნოემბ. „ჩიკაგო ტრიბუნის" რომის კორესპონდენტი იუწყება, მუსოლინის საოცარ გამარჯვების გამო ევროპის სხვა და სხვა ქვეყნებში წარმოიშვა ფაშისტური მოძრაობა. უნგრეთში, ავსტრიაში, სამხრეთ-სლავიაში, გერმანიაში და პოლონეთში უკვე არსებობენ საკუთარი ფაშისტური ორგანიზაციები, რომელთაც ეტყობათ ზრდა. ყველა დასახელებულ ქვეყნებს ბოლშევიზმის შიში აქვთ და ეპოტინებიან ფაშიზმს, როგორც გადარჩენის საშუალებას. ამ ქვეყნებში განსაკუთრებით პოლონეთში და გერმ. ფაშიზმის გამარჯვება ნიშნავს უკიდურეს ნაციონალიზმის გამარჯვებას, რომელმაც უნდა იხსნას ქვეყნები შინაგანი დაშლისაგან. ეს მოძრაობა გულისხმობს აგრეთვე გარეშე გავლენის წინააღმდეგობას, რაც დიდ საშიშროების ბადებს ფაშიზმისათვის. ახლად გამოშვებული გერმანიის პროკლამაციები აცხადებენ მსოფლიო ფაშიზმს, როგორც საყვირის ხმას, რომელიც მოუწოდებს გერმანიის ეროვნულ ახალგაზრდობას არსებულ მთავრობის წინააღმდეგ [illegible]ებისაკენ, იმპერიალისტურ სისტემაზე დაბრუნებისაკენ და ვერსალის ხელშეკრულების ყოველგვარ ვალდებულებათა უარყოფისაკენ. რომში [illegible]ლებმა მიიღეს ცნობა გერმანიაში მძლავრი ფაშისტური ორგანიზაციის წარმოშობის შესახებ. ფიქრობენ, რომ ფაშიზმი გაერთიანდება „კონსულის" სახელწოდებით ცნობილ ორგანიზაციასთან. უკვე ხდება ფართო მასშტაბით გადამწყვეტი გადატრიალება პოლონეთში. ნაციონალისტების ლიდერი კორფანტი გახთა პოლონეთის მუსოლინი. მან გამოაცხადა, რომ იგი მზათ არის აწარმოოს ომი ბოლშევიზმთან და წინააღმდეგობა გაუწიოს გერმანიას.

## წითელ რესპუბლიკებში

**რუსეთი**

**სრულიად რუსეთის საბჭოების მეათე ყრილობა.**

**მოსკოვი.** 15 ნოემ. 20 დეკემბ. მოწვეულ იქნება სრულიად რუსეთის საბჭოების მე-10 ყრილობა. დღიური წესიგი: სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენებები, საერთაშორისო მდგომარეობა, მრეწველობის მდგომარეობა, მიწადმოქმედების, განათლების და ფინანსთა კომისარიატების მოხსენებანი, საბჭოთა აღმშენებლობის საკითხები, სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის არჩევნები.

**„გლეხის ცენტრალური სახლი".**

**მოსკოვი.** 12 ნოემ. მოსკოვში გაიხსნა „გლეხის ცენტ. სახლი". გახსნას დაესწრნენ კალინინი, ჩიჩერინი, სოსნოვსკი, იაკოვენკო და სხვ. „გლეხის სახლის" დარბაზში აუცილებელი სტუმარი—გლეხია, რომელნიც ჩამოვიდნენ რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხიდან და რომელიც დელეგატები იქნენ მიღებული „გლეხის სახლში".

სხდომას ხსნის სოსნოვსკი, რომელიც აღნიშნავს „გლეხის სახლის" მნიშვნელობას. ირჩევა პრეზიდიუმი კალინინის, სოსნოვსკის, იაკოვენკოს და უკრაინის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის პეტროვსკის შემადგენლობით. კალინინი, რომელსაც დიდი ოვაციებით შეხვდნენ, თავის სიტყვაში ამბობს: „ცენტრალური სახლი უნდა გახდეს სანიმუშოდ გლეხის იმ სახლებისათვის, რომელნიც იხსნებიან რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში. სახლმა უნდა გააცნოს გლეხი ქალაქის კულტურას და უნდა შეაკავშიროს ქალაქი და სოფელი მჭიდროდ".

ჩიჩერინი თავის ვრცელ სიტყვაში ამბობს, რომ მუშის და გლეხის კავშირი მშრომელთა გამარჯვების თავდებია არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში. „ჩვენი მოწინააღმდეგენი,—სთქვა ჩიჩერინმა,—ყველაზე მეტ იმედს ამყარებდენ მუშების და გლეხების განხეთქილებაზე. ისინი შეცდნენ; მშრომელთა მთლიანობა არის დასაყრდენი საბჭოთა ხელისუფლებისათვის და მაგალითად უნდა გახდეს ყველა ქვეყნის მშრომელთათვის. საბჭ. რუსეთის მტრები [illegible] მუშა-გლეხის მტერი იყოს. ეს [illegible]. კაპიტალისტები აშკარად ხედავენ, რომ საბჭოთა რუსეთი თანამედროვე უდიდესი ძალაა მსოფლიოში და რომ [illegible] შეუძლია სთქვას თავისი სიტყვა საერთაშორისო ურთიერთობაში. რუსეთი დიდს ხანძილზე გადამწყვეტ როლს თამაშობს საერთაშორისო საკითხებში. „გლეხის სახლის" გახსნა უჩვენებს დასავლეთის გლეხს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მუშების და გლეხების კავშირს".

სოკოლნიკოვი თავის სიტყვაში ამბობს: „საბჭოთა მთავრობამ კარგად იცის, რომ სოფლის მეურნეობის აღორძინებამდე მრეწველობის აღორძინება შეუძლებელია. აი რატომ, საბჭოთა მთავრობა, მიუხედავად მატერიალურ სივიწროვისა, ყოველთვიურად აგრონომიულ დახმარებისათვის იღებს ერთ მილიონ მანეთს ოქროთ. „გლეხის სახლმა" მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს სასოფლო მეურნეობის აღორძინების საქმეში".

სხდომა დამთავრდა იაკოვენკოს სიტყვით. იაკოვენკოს მოწოდება: „გაუმარჯოს მუშების და გლეხების კავშირს შრომის ფრონტზე"—დაფარულ იქნა მხურვალე ოვაციებით და ინტერნაციონალის სიმღერით.

## კომინტერნის მეოთხე კონგრესი

**ამხ. ლენინის სიტყვა.**

**მოსკოვი.** 15 ნოემბ. კომინტერნის კონგრესის სხდომაზე 13 ნოემბერს ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ გამოვიდა სიტყვით ამხ. ლენინი, რომელსაც შეხვდენ მქუხარე ოვაციებით. თავის სიტყვაში ამხ. ლენინმა სთქვა: „1921 წელს ჩვენ სახელოვნად დავამთავრეთ სამოქალაქო ომი, მაგრამ პირის-პირ წარვსდექით პოლიტიკური კრიზისის წინაშე. გლეხობა ჩვენი წინააღმდეგი იყო, მუშების ნაწილი—უკმაყოფილო. სოციალიზმში უშუალოდ გადასვლა შეუძლებელი გახდა. ჩვენ დავადექით ახალ ეკონომიურ პოლიტიკას. ეხლა, მისი შედეგები გვიჩვენებენ, რომ ჩვენ გამოცდა წარმატებით დავიჭირეთ.

ფინანსიურ სფეროში ძირითადი ამოცანაა მანეთის სტაბილიზაცია. შარშან სტაბილიზაციაზე გადასვლა გაგრძელდა სამი თვე, წელს—ხუთი თვე. ეს უეჭველი გამარჯვებაა. გლეხობა კმაყოფილია ახალი ეკონომიური პოლიტიკით და მან ჩაგვაბარა ასეული მილიონი ფუთი სასურსათო გადასახადი. აღარ არის კვალი გლეხების აჯანყებისა და უკმაყოფილების. მსუბუქ მრეწველ.—საერთო წარმატებაა, რასაც შედეგად მოჰყვა პეტროგრადის და მოსკოვის მუშების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. უფრო ცუდ მდგომარეობაშია მძიმე მრეწველობა; ის აუცილებლად უნდა აღვადგინოთ. სახელმწიფო ვაჭრობამ მოგვცა ჩვენ 20 მილ. ოქროს მანეთი მძიმე მრეწველობისათვის. ჩვენ ბევრი შეცდომები ჩავიდინეთ, მაგრამ სახეში უნდა მივიღოთ, რომ ზოგიერთ ადგილებში ჩვენ გვიხდება ვისარგებლოთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მეფის მოხელეებით, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ მოქმედობენ. ჩვენ ვქონით საკუთარი მუშაკების კადრს, რასაც მოუნდება რამოდენიმე წელი. ჩვენი შეცდომები—არაფერია, ჩვენი მტრების შეცდომებთან შედარებით, რომლებიც დახმარებას უწევდიდენ კოლჩაკს და შექმნეს ვერსალის ზავი, რომლის ფინანსიურ შედეგებს თვითონვე ვერ გაართვეს თავი.

მსოფლიო რევოლიუციის პერსპექტივები იქნება არა თუ კარგი, არამედ ბრწყინვალე. ჩვენი შინაგანი ამოცანაა ხელისუფლების სათავეში პროლეტარიატის დარჩენა სოციალიზმისკენ გზის გასაკაფავად, რომელიც რუსეთში მიმდინარეობს თავისებური სახელმწიფო კაპიტალის გზით სადაც მიწა, მრეწველობა და ვაჭრობა პროლეტარულ სახელმწიფოს ხელშია".

გუშინდელ სხდომაზე 13 ნოემბერს ამხ. ზინოვიევმა საბოლოო სიტყვაში სთქვა: „თვითეული ბურჟუაზიული მთავრობა ამავე დროს კაპიტალისტურია, მაგრამ ყოველი მუშური მთავრობა არ არის პროლეტარული და სოციალისტური. მუშურ მთავრობას შეუძლია მრავალგვარი ფორმა მიიღოს. თვითეული მუშური მთავრობა შეიძლება გახდეს პროლეტარიატის დიქტატურის გამოსავალი წერტილი. მნიშვნელოვანია არა ფორმა, არამედ პოლიტიკური შინაარსი. მუშური მთავრობის მთავარ შინაარსს წარმოადგენს—ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ილუზიებს, თითქოს მუშური მთავრობა ნიშნავდეს კომუნიზმში მშვიდობიან გადასვლას. მუშური მთავრობა არ ნიშნავს პროლეტარიატის დიქტატურას. მუშური მთავრობა საშუალებაა მასებთან უფრო დასაახლოვებლად.

მეორე გზა მუშათა მასების მისამხრობად არის ერთიანი ფრონტი.

ერთიანი ფრონტი, კომპარტიის დამოუკიდებელ აგიტაციის შესაძლებლობის გარეშე [illegible] თვით მკვლელობაა.

ჩვენი პარტია დამოუკიდებელია, მას ეკუთვნის მომავალი. ჩვენ არ [illegible] იმის, რომ მას მოეპყრან ისე, როგორც საწყალ ნათესავებს. ბუხარინი ძლიერ მკაცრი იყო თავის [illegible] საფრანგეთის კომპარტიის მიმართ. საფრანგეთის ამხანაგებმა დაუშვეს შეცდომები, მათ სურთ მათი გამოსწორება. საფრანგეთის დელეგატის განცხადებით—ერთიანი ფრონტი შეუძლებელია, გერმანიაში, სადაც ძლიერია ესდეკების პარტია—არის სწორი. იქ, სადაც ფართო მასები არ არიან შეკავშირებული, იქ გაცილებით უფრო ადვილია ფართო პროლეტარული მოძრაობის გაღრმავება.

ზოგიერთი არ არის მართალი: საქმე იმაში კი არ არის, რომ პროლეტარიატის უმრავლესობა ჩვენს მხარეზე იყოს, არამედ საქმე იმაშია, რომ მოვიპოვოთ გავლენა პროლეტარიატის უმრავლესობაზე: [illegible]ულესის პატარა კომუნისტურმა პარტიამ პროფინტერნში გაიყვანა 200,000 მუშა. ისპანიის პარტიამ დიდ გამარჯვებას მიაღწია ერთიანი ფრონტის ტაქტიკის გზით. ეს ტაქტიკა გამარჯვებს პოლონეთშიაც, სადაც თვით პოლონეთის სოციალისტური პარტიაც იძულებულია წამოაყენოს მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი. ნორვეგიის, ეგრეთ წოდებული, აკადემიური ჯგუფი უნდა დაექვემდებაროს და შეუერთდეს კომპარტიას.

კომინტერნი ბრძოლას აწარმოებს ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. მოიმართება მსოფლიო რეაქციის მძიმე ხანა, მაგრამ დადგება დრო, როცა კომინტერნი გადაიყვანს მუშათა კლას შეტევაზე".

ამხ. ზინოვიევის სიტყვას უგებებიან ხანგრძლივი და მქუხარე ტაშით.

კონგრესი ერთხმად ღებულობს რეზოლიუციას, რომელშიაც სრულ ნდობას უცხადებენ აღმასკომის მოქმედებას. რეზოლიუციაში აღმასკომის დადგენილებანი აღიარებულია სავალდებულოდ ყველა კომუნისტურ პარტიებისათვის. რეზოლიუცია მოითხოვს ოცდა ერთი პუნქტის სისწორით ცხოვრებაში გატარებას.

# ფაშიზმი

(დასასრული. იხ. გაზ. „კომუნისტი", № 262).

**სოციალ-გამცემლების როლი**

თავდაცვა შეიძლებოდა მხოლოდ პროლეტარიატის ყველა ძალების გაერთიანებით. ამ გაერთიანებას ყოველივე ძალ-ღონით უწევდენ წინააღმდეგობას რეფორმისტები, რომელთაც მშვენივრად ესმოდათ, რომ პროლეტარიატის გამარჯვება ფაშისტებზე, ე. ი. ბურჟუაზიის უკანასკნელი საყრდენობის დამარცხება, ხელ-ახლა გამოაჩენდა სოციალური რევოლიუციის აჩრდილს, როგორც სხვა ყველა დანარჩენ ქვეყნებში. ისინი აქაც იყვნენ კეთილ-სინდისიერი პატრიოტები და ბურჟუაზიის საიმედო დამცველნი. კრიზისიდან გამოსავალს ისინი ხედავდენ მხოლოდ მუშების და კაპიტალისტების კოალიციაში. „იტალიის ხალხის" გადასარჩენად საჭირო იყო ყველა კლასების და მათ შორის მუშების მიერ მსხვერპლის გაღება, მცირე ხელფასით დაკმაყოფილება და სამუშაო დღის გაგრძელებაზე დათანხმება.

გამოდიოდენ რა ამ თვალსაზრისიდან ისინი საბოტაჟს უცხადებდენ იტალიის მუშების ელემენტარულ ეკონომიურ ბრძოლასაც კი, ყოველივე საშუალებით ხელს უშლიდენ ფაშისტებისაგან მათ შეიარაღებულ თავდაცვას. იმავე პოლიტიკას ადგენ ისინი სოციალისტურ პარტიის შიგნივაც. იმ პერიოდში, როდესაც ფაშისტები ჯერ კიდევ გამაგრებული არ იყვნენ—ისინი პაციფისტური და ჰუმანიტარული ფრაზების საშუალებით უმალავდენ მუშებს ფაშისტურ საფრთხეს და როდესაც ფაშიზმი მოევლინა მათ მთელი თავისი საშინელებით, ისინი აშკარად გადავიდენ ბურჟუაზიის მხარეზე. მაქსიმალისტები რომელნიც სერატის მეთაურობით შეადგენდენ სოციალისტურ პარტიის უმრავლესობას, მუდამ განიცდიდენ მერყეობას რეფორმისტებსა და კომუნისტებს შორის, ხოლო გადამწყვეტ მომენტში რეფორმისტებს დაუჭირეს მხარი.

იმედის გაცრუება, რომელიც გა- [illegible] ხადმა, ჩქარა პროლეტარიატზედაც გადავიდა.

იგი ხედავდა, რომ მისი მდგომარეობა უარესდებოდა, ხელფასის შემცირების და ფაშისტური ტერორის გამო, მაგრამ ვერ პოულობდა დახმარებას მოვლენილ უბედურების წინააღმდეგ საბრძოლველად, ვერც პროფკავშირებში და ვერც პარტიაში. თავის ხებით დაარსებულმა ორგანიზაციებმა, როგორც მაგალ. „არდიტი დელ პოპოლო" (შეუპოვარი ხალხი) რომელსაც მიზნათ ჰქონდა დასახული ფაშისტებთან საბრძოლველად პროლეტარიატის ყველა ძალების გაერთიანება, ვერ მოიპოვეს გამარჯვება ერთის მხრივ სოციალ-გამცემლობის საბოტაჟის და მეორე მხრივ ჩვენ იტალიელ ამხანაგების მიერ საქმის ცუდათ გაგების გამო. იტალიის პროლეტარიატი ხელმძღვანელობას მოკლებული აღმოჩნდა. მას არ შეეძლო გარკვეულიყო ანარქისტების, სინდიკალისტების, კათოლიკურ მეშჩანების, რესპუბლიკანურ მეშჩანების, სოციალ-დემოკრატების, რეფორმისტების, ყველა ორგანიზაციებში, მაქსიმალისტურ და კომუნისტურ ფრაქციებში, სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიებში, პროლეტარიატის ფართო მასები დაეცენ სულით, ისინი შეიპყრო აპატიამ და დეპრესიამ. ახალგაზრდა კომუნისტურ პარტიას არ გააჩნდა საკმაო ძალა და საშუალება მათ დასახმარებლად.

**ფაშისტების დემაგოგია**

ასეთ მდგომარეობის გამო ვიგინდარებმა, ფაშისტების წინამძღოლებმა, მუშათა მოძრაობის რენეგატებმა იხმარეს ძალიან მოხერხებული ტაქტიკა. მათი პროგრამა გარეგნულად ძალიან ჰგავდა სოციალ დემოკრატების და პატრიოტ-მეშჩანების პროგრამას. ისინი ქადაგობდენ კლასთა გაერთიანებას. ისინიც იზიარებდენ იმ აზრს, რომ იტალიის ხალხის გადასარჩენად კაპიტალისტებმაც და მუშებმაც უნდა გაიღონ მსხვერპლი, ე. ი. უკანასკნელებმა მეტი იმუშაონ და ნაკლები გასამრჯელო მიიღონ. ამ საერთო პროგრამას ისინი დიდი წარმატებით აფარებდენ ადგილობრივ პირობებს. ხელფასის შემცირების ქადაგებით, იმათ მოიპოვეს თანაგრძნობა ბურჟუაზიის ისეთ წრეებშიაც, რომელნიც არ უჭერდენ მხარს ძალდატანების მეთოდებს. თავისი ნაციონალისტური და ანტიკაპიტალისტური დემაგოგიის წყალობით, ამა თუ იმ ადგილას ჩარჩების წინააღმდეგ უშუალო გამოსვლებით, მათ მოიპოვეს გაჭირვებულ ხალხის და არა კლასიურად შეგნებულ მუშების სიმპატიები. არ მისდევდენ რა თანდათანობას, ისინი ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც მაგალითად რკინის გზელთა შტატის შემცირების, ხელფასის დაკლების და 8 საათის სამუშაო დღის გაუქმების საკითხების შესახებ, სრული დამშვიდებით აცხადებდენ, რომ ფაშისტები წინააღმდეგნი არიან ხელფასის შემცირების და 8 საათის სამუშაო დღის გაუქმებისა. ისინი ახერხებდენ სიმპატიების მოპოვებას სოფლის პროლეტარიატის ყველაზე ჩამორჩენილ ფენებს შორის, აძლევდენ რა უმუშევრებს სამუშაოს მოსუშავეთა ხარჯზე, რა თქმა უნდა უფრო დაკლებული ხელფასის მიცემით. მათ დაიწყეს პროფკავშირების დაარსება, რომელთაც ხელმძღვანელობდენ მუშათა მოძრაობის რენეგატები, ძალით შეჰყავდათ რა ამ კავშირებში არა მარტო კლასთა ბრძოლაში გამოუცდელი სოფლის პროლეტარიატის ელემენტები, არამედ დანარჩენი მუშებიც. გარდა ამისა მათ შეაკავშირეს მწარმოებლებიც და დახდეს მათთან შეთანხმება, რომლის თანახმად მათ შეუძლიათ დაიქირავონ მხოლოდ ის მუშები, რომელნიც შედიან ფაშისტურ ორგანიზაციაში. ამგვარად ჩვენ დავდექით ისეთ გარემოების წინაშე, რომ ზოგიერთ პროვინციაში დამშვიდებით შეუძლიათ იმუშაონ ფაშისტურ ორგანიზაციებში მყოფმა მუშებმა.

თავისი თავის ეროვნულ პარტიად გამოცხადებით, ისეთ პარტიად, რომელიც ილაშქრებს არა მარტო სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიების არამედ წვრილ ბურჟუაზიულ პარტიების წინააღმდეგ, იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელნი არღვევენ მათ გეგმას, ჟანდარმერიის შიში ფაშისტების წინაშე, მათი მტკიცე ორგანიზაცია, ფორმა და თეატრალური გამოსვლები იპყრობდენ მეშჩანების და იმედ-დაკარგულ მუშების ყურადღებას და ხშირად სიმპატიასაც.

სწორედ იმგვარადვე, როგორც 1919 და 1920 წლებში, ეძებდენ რა ყოველდღიურ გაჭირვებისაგან თავის დახწევას, მეშჩანებმა მიმართეს სოციალისტებს, ეხლა მათ დაუწყეს ცქერა ფაშისტებს, როგორც უკანასკნელ მათ მფარველებს. უკმაყოფილო მასები, რომელნიც მიილტვოდენ ორი წლის წინად სოციალისტებისაკენ, ეხლა თავს იყრიან ფაშისტების ორგანიზაციებში, ხელს უწყობენ რა მათ განვითარებას და გადამწყვეტ ფაქტორად გადაქცევას. იმ მუშების შორისაც, რომელიც ოდესღაც მისდევდენ ანარქისტებს, სოციალისტებს და სოციალდემოკრატებს, მაგრამ რომელთაც ამ უკანასკნელთაგან არაფერი მიიღეს, ამ იმედ-დაკარგულ მუშებს შორის გამეფდა ისეთი სულისკვეთება, რომლის აზრი ასეთია: „ამდენ იმედების გაცრუების შემდეგ, მოდი ერთი ვცადოთ ფაშისტებთან მისვლა; შეიძლება მათ გაგვიწიონ დახმარებაო".

**პერსპექტივები.**

ასეთი ატმოსფერო სუფევდა იტალიაში უკანასკნელ ხანებში. ფაშისტები იყვნენ ქვეყნის განუსაზღვრელი ბატონები, ვინაიდან მათ მხარეზე იყო ბურჟუაზიის, მეშჩანების, არმიის და მუშების ზოგიერთი წრეების სიმპატიები. ის გარემოება, რომ ისინი დღეს სახელმწიფოს მოექცენ სათავეში—არის მხოლოდ ამ ფაქტის რეგისტრაცია. მათგან მოელიან ხსნას ყველა ისინი, ვინც ვერ ხედავს გამოსავალს კრიზისიდან, ვინც დაიღალა და უკმაყოფილო გახდა.

ჩვენ ვიცით, რომ ეკონომიური კრიზისი, რომელსაც განიცდის დღეს იტალია და რომელიც წარმოადგენს კაპიტალიზმის მსოფლიო სამეურნეო კრიზისის კერძო გამოხატულებას, ვერ იქნება დაძლეული ფაშისტების მიერ: რამდენადაც დიდი იქნება ფაშისტებთან დაკავშირებული იმედები, იმდენად უფრო მწარე იქნება იმედის დაკარგვა, როდესაც ყველა გაიგებს, რომ ფაშისტებს არ შეუძლიათ გამოიყვანონ ქვეყანა კრიზისიდან, იმ შემთხვევაშიაც კი თუ მათში არ ყოფილიყო ამდენი შინაგანი წინააღმდეგობანი, მათი მდგომარეობა ძლიერ უნუგეშო იქნებოდა. იმავე სისწრაფით, რა სისწრაფითაც ისინი ამაღლდენ, ფაშისტები იქნებიან ჩამოგდებულნი და ხელახლა იმედ-გაცრუებულ მეშჩანების და მუშების რისხვა დაატყდებათ მათ თავზე.

მაგრამ ამ მომენტამდე მისვლა ძალიან გაუძნელდება იტალიის მუშათა კლასს. კომუნისტები, ბურჟუაზიის შეურიგებელი მტრები, იმუშავებენ ჰერ ქვეშ, აურიცხელი მსხვერპლის გაღებით და ძირს გამოუთხრიან ფაშისტურ ტერორს. ფაშისტების მთავრობაში შესვლის შემდეგ მათმა გამარჯვებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. მუშათა წინააღმდეგობა, იმ მუშების, რომელნიც განიცდიან საშინელ ტანჯვა-წამებას, ჩამოყალიბდება სასტიკ პარტიზანულ ომის ფორმად ფაშისტების წინააღმდეგ. სოციალისტური პარტიის კომინტერნთან შეერთება არის სიმპტომი იმისა, რომ რევოლიუციონურმა მუშებმა გაიგეს ფაშისტებთან კომუნისტური მეთოდების რევოლიუციონური ბრძოლის და საშუალებათა სისწორე.

იტალიის რევოლიუციონურ პროლეტარიატს მოელის მძიმე ბრძოლის ხანა. ჩვენი მოძმე იტალიურ პარტიის ამოცანაა—ყოველი საშუალებით მოაწყოს და ჩაატაროს ეს ბრძოლა.

და როდესაც ფაშისტებს ჩამოეხსნება უკანასკნელი ნიღაბი, როდესაც წვრილი ბურჟუაზია ზურგს შეაქცევს მათ და ყველასათვის ნათელი გახდება, რომ ისინი არიან დაუძლურებულ ბურჟუაზიის თეთრ-გვარდიელების ორგანიზაცია, მაშინ დადგება მომენტი, როდესაც პროლეტარიატი იერიშით აიღებს ბურჟუაზიულ ამ უკანასკნელ საყრდენობს და მყვლეფელთა დიქტატურის ნაცვლად გაყვლეფილთა დიქტატურას დაამყარებს.

მ. რაკოში.

# საბჭოთა საქართველოში

**აფხაზეთი**

**საკურორტო სეზონი.** მახლობელ დღეებში სოხუმში გაიხსნება საკურორტო სეზონი. საკურორტო სამმართველომ, გაითვალისწინა რა წარსული წლების გამოცდილება, შეიმუშავა პროგრამა, რომლითაც გადაღახულია ყველა დაბრკოლებანი ავადმყოფთათვის, და აგარაკზე ჩამოსულებს ეძლევათ უდიდესი კომფორტის შესაძლებლობა. თვითეულ ავადმყოფს, რომელსაც გზავნის თავის ხარჯზე სახელმწიფო, გარდა ჩვეულებრივ სანატორიულ-საკურორტო ბარათისა უნდა ჰქონდეს სამკურნალო ადგილების განყოფილებისაგან წამლობისათვის ნებართვა საბჭოთა რუსეთისა და საგუბერნიო ჯანმრთელობის განყოფილებათაგან. ავადმყოფების გამგზავრების, უკან დაბრუნების და სურსათის ფულს იხდის თვითონ ავადმყოფი, ან ის დაწესებულება სადაც ის მუშაობს. ავადმყოფის აგარაკზე დარჩენის ვადა უდრის 1 ნახ. თვეს. არ მიიღება ისეთი ავადმყოფები, რომლებიც იმყოფებიან ფილტვების ტუბერკულიოზის უკანასკნელ სტადიებში, ისტერიული ნერვებ აშლილები, ეპილეპტიკები და განუკურნელი ინვალიდები.

# პარტიული ცხოვრება

## საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი

წინადადებას იძლევა, პარასკევს, 17 ნოემბერს,

## ერთიან პარტიულ დღეს

დასმულ იქნას დღის წესრიგში საკითხი

## სოციალურ დაზღვევის შესახებ.

ტფილისის კომიტეტის მდივანი—კახიანი.

**სამეცნიერო ფილოსოფიური წრე**

ამხ. ხახანიანის მოხსენება თემაზე „დიალექტიკური მატერიალიზმი როგორც მეთოდი" შესდგა საღამოს 12 ნოემბერს დაესწრო 11 ამხ.

მოხსენების შინაარსი შეიცავდა მტკიცებას, რომ დიალექტიური მატერიალიზმი წარმოადგენს მხოლოდ მეთოდს და არა ფილოსოფიურ სისტემას. დიალექტიური მატერიალიზმის შემადგენლობის ორივე ნაწილი—დიალექტიკა და მატერიალიზმი შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ მეთოდიურად. როგორც ფილოსოფიურ სისტემას დიალექტიურ მატერიალიზმს არა აქვს გამოკვლევების თავისი სპეციალური სფერო, თავისი სპეციალური ფილოსოფიური საგანი; მომხსენებელმა დაამტკიცა, რომ დიალექტიური მატერიალიზმის გამოყენების სფეროს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს ყველა თავისი მრავალფეროვანობით.

ამხ. ხახანიანის მოხსენებამ გამოიწვია ენერგიული წინააღმდეგობა ამხ. დუდუჩავას მხრივ, რომელმაც აღნიშნა რომ დიალექტიური მატერიალიზმი სწორედ ფილოსოფიური სისტემაა და იმავე დროს მარქსიზმის ფილოსოფია, რომელსაც აქვს თავისი შემეცნების თეორია, თავისი ონტოლოგია, კოსმოლოგია და სხვ. მან მიუთითა მოხსენების ნაკლზე, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მომხსენებელმა არ შეეხო ვრცლად მარქსისტულ მიდგომას და გადაჭრას საკითხების მატერიის არსის, მსოფლიოს შეცნაურების და სხვ. შესახებ.

ვინაიდან ზემო აღნიშნული საკითხები არ შედიოდენ ამხ. ხახანიანის მოხსენების თემაში, წრის წევრებმა დაავალეს ამხ. დუდუჩავას შემდეგი კვირისათვის მოხსენების გაკეთება თემაზე: „მატერიალიზმის თეორიული შემეცნებითი საფუძვლები".

—

**წითელ ჯარში.**

თბილისში ჩამოსული საპერერეგისტრაციო და გამწმენდი კომისია საქ. ჯარებში მყოფ კომუნისტთა პირად შემადგენლობისა ამა რიცხვიდან უდგება პერერეგისტრაციას და წმენდას სამწყობრო ნაწილებში, სამხედრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ქუჩის ბავშვთა სახლის“ მომწყობ ცენტრალურ კომისიისაგან

ყველა საშუალებანი, რომელნიც შეკრებილი იქნა „ქუჩის ბავშვთა სახლის“ სასარგებლოდ ერთი დღის ხელფასის გადადებით, დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ამხ. ი. გეიდენს. ქალაქის აღმასკომი, ოთახი № 33.

ამ გზით შეკრებილი საშუალებანი აუცილებლად უნდა იქნეს ჩარიცხული „ქუჩის ბავშვთა სახლის“ ფონდში და არ შეიძლება იქნეს გამოყენებული სხვა რაიმე მიზნით.

ცენტრალური კომისია.

---

სამმართველოებში თბილისის გარნიზონის ფარგლებში ს. ს. ს. რ. სამხედრო და საზღვაო კომისარიატის დაწესებულებებში და მცველ მხლებელთა ნაწილებში.

კავკასიის ცალკე არმიის თბილისის გარნიზონის ყველა შიური კოლექტივს და კომუჯრედების მდივნებს ევალებათ დაუყონებლივ დაამზადონ საჭირო პარტმანდატები საქართველოს კომპარტიის წევრებზე, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო არ გაუვლიათ წმენდა კ. ც. არმიაში—კომისიაში წარმოსადგენათ.

ამის გარდა კომისია თხოვს წევრებს და კანდიდატებს კომპარტიისას და ყველა მოქალაქეთ, რომ მათ დახმარება გაუწიონ კომისიას ამ ძნელ საქმის ჩატარებაში; მოაწოდონ მას ყოველგვარი ცნობები კომპარტიის წევრებისა და კანდიდატების ცუდ მოქმედების შესახებ, რომელიც ჩირქს ცხებს კომუნისტურ პარტიას. არმიის გამწმენდ კომისიის მისამართი: ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილება საპიორის ქ. № 30.

არმიის გამწმენდ კომისიის თავმჯდომარე: ნოვოხარტსკი.

## ამხ. გრიშა პანდელაკის ხსოვნას

როდესაც გაიგონებ რომელიმე თეორეტიკოსის, ამხანაგის სიკვდილს, უნებლიეთ ემორჩილები ბუნების კანონს და იხრი აუცილებლობის წინ ქედს. არ გაგაკვირვებს ის მოვლენა, რომ ცოდნით სავსე კაცი, მჭევრმეტყველი, ენით შეიარაღებული ამხანაგი, ახლა უსულო სხეულს წარმოადგენს.

მაგრამ, როდესაც კვდება მუშათა წიაღიდან გამოსული, მეცნიერულ ცოდნით არ აღჭურვილი, არამედ უბრალო ამხანაგი, რომლის მოქმედება და საქციელი ყოველთვის იმას ვეუბნება: მე არ შემიძლია დავიცვა ჩემის ცოდნით ჩვენი პრინციპები, მაგრამ სამაგიეროთ მაქვს მუშური სიმტკიცე სულისა, მუშური მკლავი და ცეცხლში ნაწრთობი გულის ფიცარი, რომელსაც იოლად ტყვია ვერ შეანგრევს.

ჩემი სიმდიდრე მომიტანია რევოლიუციის სამსხვერპლოზე, მე ვარ დაუღალავი გუშაგი რევოლიუციისა და იცოდეთ საგუშაგოდან მომხსნის მხოლოდ სიკვდილი—აი ამნაირი ამხანაგის სიკვდილი მეტად დამღონებელია. ნუ თუ მოკვდა ის ვინც ასეთი მძაფრი, ასეთი გაუტეხავი, ასეთი სიცოცხლით აღსავსე, ასეთ ნამდვილ რევოლიუციის ცეცხლში ნაწრთობი ადამიანი იყო?

აი სწორედ ასეთ მწუხარებას იწვევს გულში ამხ. გრიშას სიკვდილი.

მოკვდა ის, ვისაც არასოდეს სიკვდილზე არ უფიქრია, მოკვდა ის, ვინც ყოველთვის პირში დასცინოდა სიკვდილს, მოკვდა ის, ვინც თვით ქმნიდა სიცოცხლეს.

მაგრამ ძლიერნი არ გმოლეულან.

დიდება შენს ხსოვნას, ამხ. გრიშა, დიდება შენს ღვაწლს რევოლიუციის გუშაგო, დიდება შენ დაუღალავო მებრძოლო!

დიმიტრი.

## ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაული პროვინციაში

### ოზურგეთი

ჯერ კიდევ 5—6 ნოემბერს ქალაქი ღებულობს ბრწყინვალე სახეს. კეთდება თავისუფლების მოედანზე მეტად ლამაზი „ტრიბუნა“ პლაკატებით და დროშებით მორთული, უმთავრეს ქუჩებზე მეტად მშვენიერი „არკები“ წითელ მატერიებით მორთული. 7 ნოემბერს მეტად მშვენიერი დარია. დილის ათი საათიდან იწყო ხალხმა დენა თავისუფლების მოედნისკენ. პირველად მოედანზე დარაზმულად გამოდის სიმღერით და ორკესტრის თანხლებით, ოთხასამდე გურიის რევოლიუციონური ახალგაზრდობა, საყოველთაო სამხედრო სწავლების ოზურგეთის პირველი შკოლის მოვარჯიშენი. შემდეგ მწყობრათ გამოდის „ჩონი“ ხუთას კაცამდე ორკესტრით და სიმღერით. საუცხოვო სანახაობას წარმოადგენდა აღფრთოვანებით გაბრწყინვებული, მწყობრად მომავალი შეიარაღებული გლეხობა. გამოდიან მოედანზე მწყობრათ მოწაფეები და მასწავლებელნი, პროფკავშირები, ყველა სამხედრო ნაწილები და ამ რიგად მოედანი ივსება რამდენიმე ათასი კაცით. სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის და გარნიზონის უფროსის მიერ ალლუმის მიღების შემდეგ იმართება მიტინგი, სადაც დღის შესაფერ სიტყვებს ამბობენ ამხ. ამხ. დოლიძე, ცხოხინი, გ. ნავაროჯილაძე, მელიქაძე და ს. ეული. ამის შემდეგ იმართება „ცერემონიალი“ და დემონსტრაციები უმთავრეს ქუჩებზე, რომელშიაც მონაწილეობს მთელი ხალხი.

პროლეტარი.

### ხ. სუფსა

ოქტომბრის დღესასწაული სუფსაში ბრწყინვალეთ ჩატარდა. მომწყობი კომისიის ენერგიული მუშაობით წინასწარ იქნა ქალაქი და მიტინგის ადგილი მოწყობილი ყვავილებით და მცენარეების ფოთლებით. ტრიბუნას ამშვენებდა მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის ხელმძღვანელი ამხ. ლენინის (სურათი) და საქ. კომპარტიის ბელადის ამხ. ფილიპე მახარაძის სურათები.

ხალხმა მახლობელ თემებიდგან და კუთხეებიდგან დილიდანვე იწყო დენა. ნაშუადღევის პირველ საათზედ მრავალრიცხოვანი მიტინგი დაამშვენა მედგრად გამომყურე მრავალ რიცხოვანმა, წკრივებათ დარაზმულმა კომუნარებმა. ალლუმი მიიღო ამხ. ი. ზარამიძემ, რომელმაც მქუხარე სიტყვებით მიულოცა კომუნარებს ბრწყინვალე დღესასწაულის ხუთი წლის თავი და უსურვა მომავალ ბრძოლებში გამარჯვება. ნაშუადღევის ორ საათზედ მიტინგი გახსნა სუფსის რაიონის ინსტრუქტორმა ამხ. მამია კილაძემ, რომელმაც მოკლე სიტყვით გაცნო საზოგადოებას ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავის მნიშვნელობა.

მიტინგზედ ფართე მოხსენება გააკეთა ამხ. ი. ზარამიძემ, რომელმაც ვრცლად შეეხო ხუთი წლის ბრძოლის მნიშვნელობას და ამ ბრძოლაში გამარჯვების შედეგებს; ხაზი გაუსვა მის [illegible]. მოღალატეობას და გამცემლობას ამ რევოლიუციაში და უსურვა საზოგადოებას მეექვსე წლის თავზედ მსოფლიო ოქტომბრის დღესასწაულობა. მოხსენებამ ხალხში აღფრთოვანება გამოიწვია და მომხსენებლის სიტყვებს მქუხარე ტაშით შეხვდნენ. მიტინგი ოთხ საათზედ დაიხურა.

დამსწრე.

### დიდი-ჯიხაიში

ა. წ. 7 ნოემბერს შესდგა დიდი საზეიმო მიტინგი. მიტინგს თავმჯდომარეობდა ამხ. ლ. ნუცუბიძე, რომელიც ადგილობრივ აღმასკომის სახელით მიესალმა მშრომელ გლეხკაცობას ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის შესრულების გამო. შემდეგ ილაპარაკეს ამხ. ი. შუბლაძემ და პ. ლეჟავამ ოქტომბრის რევოლიუციის წარმოშობა განვითარებაზე. აგრეთვე პარალელურათ ხაზი გაავლეს პარიზის კომუნის ისტორიას, უნგრეთ ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკების არსებობის პირობებს. შემდეგ ილაპარაკა ამხ. გ. ხარაბაძემ, რომელმაც ადგილობრივ კომუნისტურ ორგანიზაციის სახელით მიულოცა ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავი დამსწრე საზოგადოებას, შემდეგ შეეხო ოქტომბრის რევოლიუციის წარმომშობ მიზეზებს და მე 3 კომინტერნის მე-4 კონგრესს. გამოტანილ იქნა ერთხმად შესაფერი რეზოლიუცია.

მაშვრალი.

### ხაშური

დღესასწაულამდე იქნა ამორჩეული კომისია, რომელშიც იღებდა ყოველივე ზომებს ქალაქის მოსაწყობათ.

7 ნოემბრისათვის მთელი ქალაქი იქნა მორთული მწვანეთ, წითელი დროშებით და სხვა და სხვა ილუმინაციებით. მოქალაქეები, მოწაფეები, საყოველთაო სამხსწავლო გუნდი, კომუნისტური რაზმი, დეპოს მუშები გროვდებოდნენ პარტიულ კომიტეტის წინ. უკანასკნელ ადგილიდან 11 საათზე გაემგზავრენ წითელ მოედნისაკენ. დღე იყო მზიანი, და თვით ბუნებაც თითქოს შეხაროდა დღესასწაულს. მიტინგზე დაესწრო 5.000 კაცამდე.

12 საათზე მიტინგი გახსნა ხაშურის რაიკომის პასუხის მგებელმა მდივანმა ამხ. პ. ბოკერიამ, რომელმაც თავის ვრცელ მოხსენებაში მდაბიო ენით გააცნო საზოგადოებას 7 ნოემბრის დღესასწაულის მნიშვნელობა და თავიდან ბოლომდის შეეხო რუსეთის რევოლიუციის მსვლელობას. შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა გორის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. მოწონელიძემ.

ბაქოს პროლეტარიატის სახელით მიტინგს მიესალმა ამხ. ქელიევი, თბილისის მუშების სახელით—ამხ. მორჩილაძე, ხაშურის ახ. კომ-კავშირის რაიკომის სახელით—ამხ. გ. გარსევანოვი.

შემდეგი სიტყვები წარმოსთქვეს სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა 4 საათზე, როდესაც თავმჯდომარეს უნდა დაეხურა მიტინგი მოვიდა შორაპნიდან ჩამოსული გორის მაზრის გამწმენდ კომისიის თავმჯდომარე ამხ. ვაშაძე, რომელსაც ეძლევა სიტყვა და რომლის გამოსვლა ტრიბუნაზე საერთო აღტაცება-სიხარულს იწვევს.

ამხ. ვაშაძემ თავისი ჩვეულებრივ იმ დაბიო გასაგებ და მოსწრებული სიტყვებით დაახასიათა მიმდინარე მომენტი—და შეეხო ბრწყინვალე დღესასწაულს.

ამხ. ვაშაძეს სიტყვის შემდეგ ამხ. ბოკერია მიტინგს ხურავს, და პროცესია „ინტერნაციონალის“ სიმღერით მიემართება მთავარ ქუჩებზედ, იქიდან რაიკომისაკენ და 5 საათზე იშლებიან.

საღამოთი მთელი ქალაქი საგანგებოთ იქნა განათებული, გაიმართა უფასო წარმოდგენა „დიდი კომმუნარი“.

მარო შულაროვი.

## ქრონიკა

— **კვირაობა სამგორის არხის გასაყვანად.** 12 ნოემბერს გაიმართა კვირაობა სამგორის არხის გასაყვანად. სამგორის დაბლობის და ტფილისის აღმასკომის მიწების მოსარწყავად. წინასწარ მუშაობისათვის არჩეულია ადგილი ახალსოფლიდან 3 ვერსის მანძილზე. კვირაობაში მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით 2 ნახ. ათასმა გლეხობამ. კვირაობა მოაწყო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ჰიდრო-სამელიორაციო განყოფილებამ; მუშაობა სწარმოებდა აღნიშნულ განყოფილების თანამშრომელთა უშუალო ხელმძღვანელობით, კვირაობაზე ტფილისიდან გაემგზავრენ: სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მახარაძე, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტოროშელიძე და ტფილისის სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელი. მუშაობაში დიდ მნიშვნელობას იღებდენ [illegible] გლეხები, რომლებიც გამოცხადდენ გუთნებით, რომლის საშუალებით ხდებოდა მიწის ზედაპირის დარბილება.

არხი სამაგალითოდ გათხრილია 3 ვერსის მანძილზე, 300 კუბ. შესრულებულია. მუშაობის დასრულების შემდეგ გაიმართა მიტინგი: ამხ. მახარაძემ მიმართა გლეხებს სიტყვით, რომელშიაც დაწვრილებით შეეხო გასაყვანი არხის მნიშვნელობას სასოფლო მეურნეობისათვის, მიულოცა მუშაობის დაწყება და უსურვა მისი წარმატებით დამთავრება. გლეხობამ იკისრა მიწის სამუშაოს შესრულება. აღნიშნული არხით შესაძლებელი იქნება 30 ათასი დესიატინა მიწის მორწყვა, რომელიც გამოსადეგი იქნება აგრეთვე უმაღლესი კულტურის განსავითარებლად.

— დღეს 16 ნოემბერს, საღამოს 7 ნახ. საათზე რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში დანიშნულია ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების კრება. მომხსენებელნი არიან პროფ. ს. ამირეჯიბი და ექიმი ვ. ვარაზაშვილი.

— **სახალხო სასურსათო კომისარიატის ბიულეტენი.** რედაქციამ მიიღო სახალხო სასურსათო კომისარიატის ბიულეტენი, რომელშიაც მოთავსებულია შემდეგი წერილები: 1) მეთაური, 2) სამუშაო ხელფასის დენატურალიზაციები—ა. ს., 3) მაშ, როგორ მოვაწყოთ სახელმწიფოებრივი ვაჭრობა—ა. ერქომაიშვილისა, 4) მეაბრეშუმეობა: აბრეშუმის თესლის დამზადების საქმის მდგომარეობა; აბრეშუმის პარკის ოპერაცია და მეაბრეშუმეობა საქართველოში—ა. ერქომაიშვილისა, 5) სასურსათო გადასახადი (მიმოხილვა), 6) კოოპერაცია: ქრონიკა, თეზისები ა. ერქომაიშვილის მოხსენებისა „ქალი და კოოპერაცია“, კოოპერაცია ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში—ა. ერქომაიშვილისა, 7) სახალხო სასურსათო კომისარიატში, 8) სახ. სას. კომისარიატის ორგანიზაციის სქემა, 9) ოფიციალური განყოფილება.

— **ამხანაგ კოლია რობაქიძის ხსოვნას.** კოლია იყო ჩვენი საუკეთესო ამხანაგი, რწმენის ადამიანი. ის იყო ჩხარის თემის აღმასკომის თავმჯდომარე.

კომუნისტთა მებრძოლ მწკრივებს მოსცილდა ერთი ამაყი არწივი და მიიძინა ცივ სამარეში.

ფიცსა ვსდებთ: სრულ გამარჯვებამდე ვატაროთ ის დროშა, რომელიც მას ხელიდან გამოსტაცა სიკვდილმა.

დეკანოზიძე.

## ხელოვნება

### „ქართული კულტურის“ კრიზისი.

(განსახკომის კაბინეტში მომხდარ სათეატრო თათბირის გამო).

ჩივიან, გოდებენ: „ქართულ თეატრს „ხალხი“ არ ეკარება, ქართულ წიგნს „კაცი“ ხელში არ იღებს“! ეს ნაციონალისტების მხრით.

ხოლო მთავრობისგან ისმის: ქართულ თეატრზე ბევრი იხარჯება შემოსავალი კი არა სჩანს; ქართული წიგნის გამოცემაზედაც დიდათ ვზრუნავთ; მარა გავრცელებით კი არ ვრცელდებაო.

ორივე მხარე მართალს ამბობს, სინამდვილე მათ ორივეს ყვერს უკრავს და ამნაირათ ქართული კულტურის საქმე მართლაც რომ ცუდათ არის.

„რა უშველის მას“? კითხულობს ყველა ერთად და ახალი გზის, ხსნის გზის გამონახვას, მოძებნას ცდილობენ.

**მაგრამ ავიწყდებათ, რომ ამ გზის გამონახვა იხე არას გზით არ შეიძლება, თუ ძველი თვალსაზრისი, ძველი კულტურის ნიადაგი დაგმობილი და უკუგდებული არ იქნა.**

ქართული თეატრი განა მხოლოთ დღეს განიცდის კრიზისს? და განა მარტო ქართული თეატრი?

არა, ქართული თეატრი ჯერ ისევ რევოლიუციის წინა დროს განიცდიდა კრიზისს.

ასეთ მდგომარეობაშია არა მარტო ქართული თეატრი, არამედ მთელი „ქართული კულტურა“.

და აი შემოკრბენ „მფარველნი ქართული კულტურისა“ და თათბირი გამართეს იმაზე, თუ რა უშველის „დღევანდელ პირობებში ქართულ თეატრს“.

ამაზე მაგონდება მე ის დრო, როცა ჩვენებური თავადაზნაურობა ჩვენ ცხოვრებაში შემოჭრილი ბურჟუაზიული პირობების გამაგრებით დაეცა, გადაგვარდა და გადაშენების გზას დაადგა და როცა ამის გამო ნიკო ნიკოლაძემ ლიტერატურაში კითხვა წამოაყენა: „რა უშველის თავად აზნაურობასო“ და მან მაშინდელ რუსეთის თვითმპყრობელურ მთავრობას ქართული თავად-აზნაურობის დახსნის მთელი გეგმის პროექტი წარუდგინა.

ცხადია ისტორიისგან განწირულ ძველ წოდებას ვერაფერი დაიხსნიდა, ამიტომ ნიკო ნიკოლაძის პროექტიც უშედეგოთ დარჩა, დარჩა მხოლოთ ქაღალდის ფურცლებზე და ცხოვრებამ კი თავისი გზა განაგრძო.

„ქართული კულტურის მოჭირნახულეთა“ დღევანდელი მოქმედებაც ამას წააგავს: თათბირობენ, მრავალ „საღამოებს“ და სტუდიებს მართავენ, ჟურნალ-გაზეთებს უხვად სცემენ, კავშირებს აწყობენ და ყოველივე ეს მათ ვიწრო ინტელიგენტურ წრეებს არ შორდება, მათი ფარგალი არ ფართოვდება. ყოველივე ეს „ერთი უკვდავი დედაბერის, სიკვდილის“ წრეში ტრიალებს. სიცოცხლე კი მათ ძალიან სწყურიათ.

ზოგს მათგანს იმედიც ეკარგება და სასოწარკვეთილება იპყრობს.

გაზეთ „ტრიბუნის“ წარმომადგენელი, მაგალითად, „დღევანდელ პირობებში“ ქართული თეატრის გამობრუნების და აღორძინების საქმეს უიმედოთ თვლის.

„არ მჯერა, რომ ქართული თეატრი, ისე ვით მთელი ქართული კულტურა ასი წლის პოლიტიკური მონობის შემდეგ აღორძინდეს ისე, თუ ქართველ ერს სრული „სუვერენობა“ არ მიენიჭებაო“, აცხადებს ის.

— „არა ჩემი პირადი რწმენით, ქართველი ერი თუ გენიოსს წარმოშობს, თუნდაც ის ორასი წლითაცდამონებული იქნეს, თავის კულტურას მაინც აღორძინებს და ააყვავებსო“ უპასუხებს ამაზე გაზ. „ტრიბუნის“ წარმომადგენელს კრების თავმჯდომარე.

როგორც ხედავთ პირველს მხოლოთ „სუვერენობის“ იმედი აქვს და სხვისი არავისი; ხოლო მეორეს მხსნელათ „გენიოსი“ სწამს. თუ საიდან გაჩნდება გენიოსი, ეს მან არ იცის, მარა ძალიან ღრმათ კი სწამს, რომ ის გაჩნდება.

მე ვერც პირველის პესიმიზმს და ვერც მეორის „რწმენას“ ვერ გავიზიარებ.

მე მგონია, რომ ისინიც ჩემთან ერთათ დაგმობდენ ამ პესიმიზმსაც და ამ რწმენასაც, რომ მათ **ისტორიულ კლასობრივ თვალსაზრისზე დგომა შეეძლოთ.**

მე ვფიქრობ, რომ „სუვერენობაზე“ როგორც ეს მათ წარმოუდგენიათ, ლაპარაკი მეტია.

რაც შეეხება „გენიოსს“, უნდა ვიცოდეთ, რომ მის გაჩენასაც შესაფერი ნივთიერი პირობები უნდა.

„სუვერენობა“ სულაც არაა საჭირო იმისთვის, რომ ხალხი ასეთ ნივთიერ პირობებში ჩავარდეს. ამისთვის მხოლოთ წარმოების ახალ წესზე აგება და მისი განვითარებაა საჭირო.

წარმოების ახალ წესს—სოციალისტურ ეკონომიკას კი ხელს უწყობს და ჰქმნის ის **ხელისუფლება,** რომელიც დღეს ყოფილ რუსეთის იმპერიის თითქმის მთელ ფარგალში გამაგრებულია და განმტკიცებული.

ის განურჩევლათ ეროვნებისა და სარწმუნოებისა, კუთხისა და ქვეყნისა ერთნაირათ ზრუნავს იმაზე, რომ მთელ ყოფილ რუსეთის იმპერიაში წარმოება ახალ საფუძველზე აეგოს, ქართული კულტურის ასაღორძინებლათ.

დღეს ერთი მთავარი პირობის დაცვაა საჭირო: ქართული კულტურის ყველა ძალები შეძლების დაგვარათ ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით გაიმსჭვალონ. სახელდობრ იმით, რომ საბჭოთა ქვეყანაში მხოლოთ პროლეტარული კულტურის, პროლეტარული იდეოლოგიის დანერგვა შეიძლება და არა სხვა რომელიმესი.

შეიგნეთ და შეითვისეთ, რამდენათაც კი შეგიძლიათ, ქართული კულტურის მოჭირნახულენო, ეს აზრი და მისწრაფება და მაშინ დაინახავთ, თუ როგორ აყვავდება ჩვენი ქართული კულტურა, და მასთან ერთათ ქართული თეატრიც!

გახსოვდეთ კი, რომ ეს უთქვენოთაც მოხდება: ქართველი მუშა თვითონვე შეჰქმნის მას, თუმცა დაგვიანებით, მარა მაინც შეჰქმნის და მაშინ თქვენი ხსენებაც აღარ იქნება!

რაჟდენ კალაძე.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს ხუთშაბათს 16 ნოემბერს „ლაკმე“, მონაწილ. პოპოვა, სარაჯიშვილი, შარაშიძე და სხვ.

— **ალ. ყაზბეგის მოთხრობა „მოძღვარი“ ეკრანზე** ახლო ხანში დასრულდება ალ. ყაზბეგის მოთხრობა „მოძღვარის“ კინემატოგრაფიულ ლენტზე გადაღება. მუშაობა სწარმოებს დუშეთის მაზრაში. ეკრანზე გადასაღებ წარმოდგენაში სხვათა შორის მონაწილეობას ღებულობენ: ვლ. გუნია და ალ. იმედაშვილი.

— **ბათომი.** სამშაბათს 7 ნოემბერს გაიხსნა პირველი საბჭოთა თეატრი. წარმოდგენილი იქნა „ორი მიმდინარეობა“, რევოლიუციონური პიესა, რომლის შინაარსი აღებულია რუსეთის სამოქალაქო ომიდან.

— **ქიმერიონის დახურვა.** სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირების კლუბი ქიმერიონი, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინეთ სახალხო განათლების კომისარიატმა გადასცა თეატრების მმართველობას, დაიხურა წარმოების ზარალის გამო. მწერალთა კავშირებს განზრახვა აქვთ აღძრან შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რომ ქიმერიონი უკანვე დაუბრუნდეთ მათ.

— **„მეოცნებე ნიამორები“ გამოცემა თბილისში.** „მეოცნებე ნიამორები“, რომელიც აქამდე გამოდიოდა ქუთაისში ვალერიან გაფრინდაშვილის რედაქტორობით, გადმოტანილი იქნა თბილისში და მეცხრე ნომერი გამოვა დეკემბრის შუა რიცხვებში.

## ქუჩის ბავშვთათვის სახლის მომწყობ ცენტრალური კომისიისაგან

ქუჩის ბავშვთათვის სახლის მოსაწყობად დაარსდა ცენტრალური კომისია, რომელშიაც შედიან: ვ. ჯაფარიძე, მ. ესსენი, ზ. ორჯონიკიძე, გრიშჩენკო, დალნაია, კურულოვი და კავკასიის ცალკე არმიის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წარმომადგენელი.

ცენტრალურმა კომისიამ წინადადება მისცა რაიკომებს მოაწყონ, პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, რაიონული კომისიები და გამოჰყონ თითო წარმომადგენელი ცენტრალურ კომისიაში წარსაგზავნათ მუშაობის გაერთიანებისა და კოორდინაციისათვის.

გათვალისწინებულია მუშაობის შემდეგი გეგმა:

1. ბავშვთა სახლისათვის შენობის გამონახვა და მისი მოწყობა.
2. გაზეთებში წერილების მოთავსებით და განსაკუთრებულ ფურცლის საშუალებით ფართე აგიტაციის წარმოება.
3. შეწირულებათა შეგროვება ყულაბებით.
4. პროცენტული გადასახადის აკრეფა თეატრების, კინოს, ცირკის და სხვ. დაწესებულებისაგან.
5. სამეურნეო ორგანოებისა და სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებების დაბეგვრა.
6. სამუშაო ხელფასის ერთდღიურ გადარიცხვის აკრეფა.

ცენტრალურმა კომისიამ გამოჰყო შენობის აღმოსაჩენად და მის მოსაწყობად ვ. ჯაფარიძე, ზ. ორჯონიკიძე და მ. ესსენი. მათ დაათვალიერეს მთელი რიგი კომისარიატებისა და გამოარკვიეს მათი შემჭიდროების შესაძლებლობა, და აგრეთვე შენობა, რომელიც ამ ჟამად ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს უჭირავს და რომლის დაკავება აღნიშნულ მიზნისათვის უკვე განზრახულია.

ამ შენობის ქუჩის ბავშვთა სახლისათვის გადაცემის შესახებ უკვე იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის და თბილისის კომიტეტის დადგენილება.

ყულაბებით შეწირულებათა შეგროვების მოწყობა დავალებული აქვს გრიშჩენკოს, დალნაიას, ე. წულუკიძეს და არმიის წარმომადგენელს.

ცენტრალურ ადგილად საგიტაციო და საორგანიზაციო მუშაობისათვის დანიშნულია თბილისის კომიტეტის აგიტპროპი, ცნობების მისაწოდებლად და საშუალებათა შესაგროვებლად კი ქალაქის აღმასკომი.

ცნობების მიღება ბავშვთა სახლის ორგანიზაციის შესახებ ყოველ დღიურად შეიძლება 1—3 საათამდე ვ. ჯაფარიძესთან—ქალაქის აღმასკომი, ოთახი № 57.

ფულის მიღება სწარმოებს ყოველდღიურად დღის 9—11 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე ი. გეიდენთან—ქალაქის აღმასკომი, ოთახი № 33.

პროდუქტების და სხვა საგნების მიღება სწარმოებს ყოველდღიურად დღის 9—4 საათამდე პეტრე დიდის ქუჩაზე № 8.

შეწირულებათა ყულაბებით შეგროვების ორგანიზაცია დავალებული აქვს გრიშჩენკოს და ე. წულუკიძეს, ქალაქის აღმასკომი, ოთახი 55 დღის 1—3 საათამდე.

შეწირულებათა შეგროვება ყულაბებით დანიშნულია შაბათისათვის 18 და კვირისთვის საღამოს 19.

სამეურნეო საორგანიზაციო კომისია, რომელშიც შედიან ამხ. ჯაფარიძე, ორჯონიკიძე, გეგეჭკორი და მ. ესსენი უკვე შეუდგა მუშაობას სახლის მოსაწყობად და ინვენტარის დასამზადებლად.

შედგენილია აგრეთვე ჯგუფი სამეურნეო ორგანოებისა და სამრეწველო სავაჭრო დაწესებულებების დასავლელად.

ამ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს წითელი არმია; მონაწილეობს აკრეფაში, როგორც ყულაბებით, ისე სამეურნეო ორგანოების და სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებების დავლაში და ამის გარდა მათ შემოიტანეს დიდი შემოწირულება 10 ათასი მანეთი ოქროთ და 10 ათ. ფუთი პური და მით მოგვცეს შესაძლებლობა დაუყოვნებლივ შევსდგომოდით ამ საქმის ორგანიზაციას.

მუშები ატარებენ ენერგიულად თავის დადგენილებას ერთ დღიურ სამუშაო ხელფასის გადარიცხვის შესახებ, გამოხატავენ რა ამით ცხოველ ინტერეს და თანაგრძნობას უპატრონო ბავშვთა დახმარების საქმისადმი.

ქუჩის ბავშვთათვის სახლის მომწყობი ცენტრალური კომისია.

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დადგენილება № 21.

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.**

**შორაპნის მაზრის ადმინისტრატიული ცენტრის ქალაქ ზესტაფონიდან ქალაქ ჭიათურაში გადატანის შესახებ.**

რადგანაც ქალაქი ზესტაფონი შორაპნის მაზრის ცენტრად აღიარებული იყო მხოლოდ ადმინისტრატიული მოსაზრებით, ნამდვილად კი ამ მაზრის როგორც გეოგრაფიულ ისე, მით უფრო, ეკონომიურ და სამრეწველო-საწარმოო ცენტრს წარმოადგენს ქალაქი ჭიათურა, ამის გამო სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1922 წ. ოქტომბრის 5-ს დადგენილებისა ადგენს:

1. შორაპნის მაზრის ადმინისტრატიული ცენტრი გადატანილ იქნეს ქალაქ ზესტაფონიდან ქალ. ჭიათურაში.
2. ამა დადგენილების აღსრულებაში მოყვანა დაევალოს შორაპნის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს.
3. დაევალოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მისცეს შორაპნის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს სათანადო სახელმძღვანელო დირექტივები.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. ნოემბრის 13.

ტფილისი-სასახლე.

### დადგენილება № 26

**შრომის სახალხო კომისარიატისა კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეგისტრაციის შესახებ.**

1. კოლექტიურ ხელშეკრულების რეგისტრაციისათვის უნდა წარმოდგენილ იქნას შრომის სახალხო კომისარიატში ან მის ადგილობრივ შრომის განყოფილებებში ხელშეკრულების დედანი და ორი ასლი თანდართულ შევსებულ „სარეგისტრაციო ბარათით“, სტატისტიკურ განყოფილების მიერ შემუშავებულ ფორმის მიხედვით.

**შენიშვნა:** კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც დადებულია ამიერ-კავკასიის მასშტაბით, ასეთივე წესით წარმოდგენილ უნდა იქნას შრომის კომისარიატში.

2. კოლექტიურ ხელშეკრულების რეგისტრაცია უნდა მოხდეს სამი დღის განმავლობაში, დღიდან მისი წარმოდგენისა, ხოლო ძალაში შედის დღიდან დაინტერესებულ მხარეთა მიერ ხელმოწერისა, მიუხედავად იმისა, თუ როდის იქნება ხელშეკრულება გატარებული რეგისტრაციაში შრომის კომისარიატის ორგანოების მიერ.

3. ხელშეკრულებათა რეგისტრაცია ხდება „კოლექტიურ ხელშეკრულებათა“ წიგნში ჩაწერის წესით. ეს წიგნი შედგენილ უნდა იქნეს შემდეგი წესით: 1) №№ რიგზე, 2) რეგისტრაციაში გატარების დრო, 3) ხელშეკრულების ხელმოწერის დრო, 4) ვისა და ვის შორის დაიდო ხელშეკრულება, 5) ვინ გაატარა ხელშეკრულება რეგისტრაციაში (ოფიციალურ პირის გვარი), 6) დრო, როდესაც მიეცათ ასლები მხარეებს და მათი ხელმოწერა ასლების მიღების შესახებ.

4. კოლექტიურ ხელშეკრულებათა წიგნში გატარების შემდეგ დედანზე უნდა იქნეს სარეგისტრაციო წარწერა შემდეგი შინაარსისა: „გატარებულია რეგისტრაციაში შრომის სახალხო კომისარიატის (ან და შრომის განყოფილების) კოლექტიურ ხელშეკრულებათა წიგნში ამ და ამ ნომრით“ (ხელის მოწერა).

**შენიშვნა:** სარეგისტრაციო წარწერა უნდა ხელმოწერილი იყოს პასუხისმგებელ თანამშრომლის მიერ, რომელსაც დაკისრებული აქვს ხელშეკრულებათა რეგისტრაცია.

5. ხელშეკრულების დედანი ინახება შრომის კომისარიატში (შრომის განყოფილებაში), მხარეებს კი მიეცემათ ოფიციალურად შემოწმებული ასლები, რომლებზედაც უნდა იყოს სარეგისტრაციო წარწერაც.

6. კოლექტიურ ხელშეკრულებათა დედანი და ასლები ცალ-ცალკე უნდა იქნეს შეკინძული და ზონარის თავები დალუქული. თუ რომელიმე შრომის განყოფილებას არა აქვს ლუქის ბეჭედი, უნდა დაუსვას უბრალო ბეჭედი და ხელმოწერა ოფიციალური პირისა, რომელიც აწარმოებს რეგისტრაციას.

დედანი ინახება შრომის სახალხო კომისარიატში (შრომის განყოფილებაში) ცალკე პაპკაში, სარეგისტრაციო ნომრების მიხედვით.

კოლექტიური ხელშეკრულების ასლები ეძლევათ მხარეებს, მათი წარმომადგენელთა სარეგისტრაციო წიგნში ხელმოწერის ქვეშ.

**შენიშვნა:** ხელშეკრულებებს თანდართული სარეგისტრაციო ბარათები ინახება ცალკე პაპკაში და ყოველთვიურად უნდა გადაეცეს სტატისტიკურ განყოფილებას მიმდინარე თვიურ სტატისტიკისათვის.

7. გარდა კოლექტიურ ხელშეკრულებათა სარეგისტრაციო წიგნისა, უნდა შედგენილ იქნას ხელშეკრულებათა საალფავიტო წიგნი, რომელშიაც ყოველი ხელშეკრულება ჩაიწერება ორჯერ, მუშა-მოსამსახურეთა კავშირის სახელწოდებისა და მწარმოებელთა სახელწოდების დაწყებითი ასოების მიხედვით. ამ წიგნში აღნიშნულ უნდა იქნას სარეგისტრაციო ნომერი და რეგისტრაციის დრო.

8. რეგისტრაციაში არ უნდა იქნეს გატარებული ისეთი ხელშეკრულება, რომელიც ჰქმნის მუშა მოსამსახურეთათვის უფრო მძიმე პირობებს, ვიდრე ეს განსაზღვრულია არსებულ შრომის კანონდებულებით. ამ შემთხვევაში შრომის კომისარიატი (ან შრომის განყოფილება) ორი დღის განმავლობაში ვალდებულია: ა) შეიტანოს მე-4 მუხლის შენიშვნაში აღნიშნულ პირთა მიერ ხელმოწერილი, დასაბუთებული დადგენილება რეგისტრაციის უარყოფის შესახებ, ბ) იმავე ვადაში აცნობოს დადგენილება მხარეებს, ამასთანავე კოლექტიურ ხელშეკრულების დედანი და ერთი ასლი ეგზავნება უკან იმ მხარეს, რომელმაც შემოიტანა ხელშეკრულება, ხოლო მეორე ასლი კი რჩება შრომის კომისარიატს.

# მუშათა ცხოვრება

## წითელი არმიელები და მუშები

ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავის დღესასწაულზე საძირკველი ჩაეყარა ერთ დიდ მნიშვნელოვან საქმეს. მუშებსა და წითელ არმიელებს შორის ამ დღეს გაიბა მტკიცე და მჭიდრო კავშირი. ეს ორი ძმა ერთმანეთთან მივიდენ და ერთმანეთის ავი და კარგი გაიკითხეს. დღემდი ასეთი კავშირის სასურველობაზე მხოლოდ იწერებოდა და ლაპარაკობდენ და 5—7 ნოემბერს ამ კავშირს ხორცი შეესხა. მთელი რიგი ქარხნების მუშები ან ეწვიენ ჯარის ნაწილებს თავისი საჩუქრებით და ან მოიწვიეს სტუმრათ. ჩვენ „კამოს" ფაბრიკის მუშებმა შევიტანეთ ჩვენი წვლილი ამ საქმეში. ვესტუმრეთ მცირედი საჩუქრებით წითელ არმიელთა ყაზარმას. წითელ არმიელები დიდი აღტაცებით და სიხარულით შეგვხვდნენ. გაგვიმართეს მიტინგი, გვითხრეს სიტყვები, და დაგვათვალიერებიეს ყაზარმა. მეორე დღესაც გვქონდა მუშებსა და წითელ არმიელებს შეერთებული მიტინგი. სასურველია ასეთ კავშირს და ერთმანეთთან მისვლას მეტი რეგულიარული ხასიათი მიეცეს.

„კამოს" ფაბრიკის მუშა.

## დამზღვევ კასის ცენტ. საავადმყოფო.

დამზღვევ კასის ცენტრალური საავადმყოფო, რომელიც არსებობს დიდი ვანქის ქუჩაზე № 3, ღამით თითქმის უსინათლოთ არის დარჩენილი. 7 საექიმო კაბინეთში ანათებს 7 ოდნავ მბჟუნტავი ნავთის ლამპები, რომელიც არც სინათლეს იძლევა და ჰაერს კი აბდენს. ეს ყოვლად დაუშვებელია და საჭიროა დამზღვევი კასა ამას ყურადღებას მოაქცევდეს. უეჭველად საჭიროა ელექტრონის გამოყვანა.

ყოფილი.

## პროფ-ნაწარმოებთა გამოფენა.

ერთ კვირაზე მეტია, რაც პროფკავშირთა დიდ დარბაზში გამოფენილია სხვა და სხვა დარგის ნაწარმოებნი. გამოფენას აწყობს დიდძალი მუშა-მოსამსახურენი, რომელიც განცვიფრებულნი რჩებიან ნახულით. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ მუშათა კლასი ძლიერია არა მარტო სამხედრო ფრონტზე, არამედ მშვიდობიან აღმშენებლობით ფრონტზედაც.

საათებია საჭირო, რომ მნახველმა შესძლოს გამოფენის სრულად დათვალიერება. ყოველ დარგის წარმოებას ყავს გამოფენაზე თავისი წარმომადგენელი, რომელიც აჩვენებს თავის დარგის წარმოებათა სამუშაოს, დიდი ინტერესის გამომწვევლია ტყავის განყოფილება, სადაც მნახველის წინაშე, ამ დარგის წარმომადგენელი მუშა აჩვენებს თუ როგორ უნდა ტყავის მომზადება, არ არის არც ერთი წარმოება, რომ გამოფენაზე მონაწილეობა არ ქონდეს მიღებული. დიდი მადლობის ღირსი არიან ამ საქმის ინიციატორები.

ქ. ნ.

## ავლაბარი

ავლაბრის მეტყავე მუშების შორის კვლავ წარმოებს მენშევიკური დემაგოგია და ინსინუაცია. მუშები მენშევიკების მოსყიდულ აგენტებს არ უჯერიან. მეტყავე მუშებში ეს პარტია არავითარ ნდობით არ სარგებლობს მან აქ ის თითო-ოროლა თანამგრძნობიც დაკარგა, რომელიც ოდესმე ყავდა.

ახლა ყველანი დარწმუნებულნი არიან მენშევიკების მოღალატეობასა და გამცემლობაში. ამ მხრივ საყურადღებო იყო 6 ნოემბერს ავლაბრის მეტყავე მუშების კრება. კრებაზე გაკეთდა მოხსენება ოქტომბრის რევოლუციის შესახებ ერთხმად და გამოტანილ იქნა რეზოლიუცია. რეზოლუციაში მეტყავე მუშები ზიზღს და შეჩვენებას უთვლიან მენშევიკებს და თანაგრძნობას უცხადებენ საბჭოთა ხელისუფლებას.

მეტყავე მუშა.

## კურიოზული ისტორია.

საწხედრო ქუჩაზე № 3 ცხოვრობს პასუხისმგებელი მომუშავე ამხ. შ. გეგენავა. მის ბინას არა აქვს გასავალი გარეთ არც წყლისთვის და არც სხვა რამესათვის. იქვე ცხოვრობს გვერდით რუსთველის პროსპექტზე მოვაჭრე ვაჭარი პომპადულო. ამ ვაჭარს აივანზე გამართული აქვს სამზარეულო და დაკეტილი აქვს გეგენავასთვის გამოსავალი კარი. გეგენავამ აღძრა სათანადო უწყებებში საქმე, რომ ხსენებული კარი გაღებულიყო. საქმე გაჭიანურდა და გამოძიების პროცესს დასასრული არ მიეცა. ვაჭრის ინტერესები საბინაო განყოფილებისათვის ანგარიშის გასაწევი და საბოდიშო შეიქნა. თითქოს ვაჭარს თუ ორ ოთახში არ ეტევა იმის შეძლება არ ქონდეს რომ 4—და 5 ოთახიანი ბინა იქირაოს თავისუფალ ფასებში. საქმეში ჩაერია ს. პ. კ. ს. და როგორც იქნა დაიწერა ქაღალდი, რომ ხსენებული კარი გაღებულიყო. ეს ქაღალდი მიუვიდა მილიციას ასასრულებლათ. მილიციის წარმომადგენელმა საბინაო განყოფილების წარმომადგენელის თანდასწრებით ასრულების მაგივრად ახლათ დაიწყო გამოძიება. ეს გამოძიებაც მივიდა იმ დასკვნამდი, რომ კარი უნდა გაიღოს. მისცეს ვაჭარ პომპადულს მორცხვი წინადადება კარის გაღების შესახებ. გადის რამდენიმე დღე და განკარგულება სისრულეში არ მოდის. საბინაო განყოფილებიდან მილიციას ხელმეორე ქაღალდი მიუდის. ვაჭარს შეაქვს საჩივარი საბინაო საკონფლიქტო კომისიაში, შ. ს. კ. რომ არსებობს. ვაჭარი იქცევა ასე, მუშათა ინტერესების „ზოგიერთ" დამცველთა რჩევით და კურთხევით. მათივე დახმარებით კომისია განკარგულებას აბდენს საბინაო განყოფილების განკარგულება, რომელიც მრავალ გამოძიებასა და შრომას მოყვა შედეგათ, შეჩერებულ იქნას. მილიციასაც ეს უნდოდა, მან ისედაც არ მოყავდა სისრულეში დადგენილება და ამგვარად კარი გაუღებელი დარჩა. აგერ 10 დღე გავიდა და კომისიას ხელიც არ გაუნძრევია საქმის გასარჩევად და გადასაწყვეტად. ვაჭარსაც სწორედ ეს უნდა. ამ საქმიდან გამარჯვებული გამოდის ვაჭარი, იჩაგრება პასუხისმგებელი მომუშავე გეგენავა. როგორ ხდება ეს, რისთვისაა რომ ამ ვაჭარს ამდენი გასავალი დაურჩა, საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

მდგმური.

---

9. კოლექტიურ ხელშეკრულების უარყოფის შესახებ დადგენილების გასაჩივრება შეიძლება სამი დღის განმავლობაში უმაღლეს ინსტანციაში, რომლის დადგენილება საბოლაოა.

**შენიშვნა:** ასეთივე წესით შეიძლება გასაჩივრებულ იქნას რეგისტრაციის დაგვიანება.

10. ეს დადგენილება ვრცელდება აგრეთვე სატარიფო შეთანხმებებზედაც.

შრომის სახალხო კომისარი **ა. იაშვილი.**

საქმეთა მმართველი **მ. ბარნაბიშვილი.**

## დადგენილება № 88.

**განათლების სახალხო კომისარიატის იმ პირთა შესახებ, რომელთაც უფლება აქვთ სწავლის ფულის გარდასახდისაგან განთავისუფლებისა.**

კომისარიატის მიერ უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში სწავლის ფულის შემოღების შესახებ გამოცემულ დადგენილების მესამე მუხლის შესაცვლელად სახალხო განათ. კომისარიატი ადგენს:

1. სწავლის ფულის გარდასახადისაგან თავისუფლდებიან:

ა) წითელ-არმიელთა შვილები და ოვით წითელი არმიელები.

ბ) დაჭრილ და დასახიჩრებულ მეომართა შვილები.

გ) ფიზიკური შრომის მუშები და მათი შვილები, თუ თვიური ჯამაგირის რაოდენობა არ აღემატება 40 მან. ოქროთი.

დ) სახელმწიფო სტიპენდიანტები.

ე) ყველა ტიპის და საფეხურის სკოლების მასწავლებელთა შვილები.

ვ) შვილები, ყოფილი მასწავლებლებისა, თუ უმსახურიათ პედაგოგიურ ასპარეზზე არა ნაკლებ 15 წლისა, ამ ჟამად არავითარი სამსახური არა აქვთ და წარმოადგენენ სიღარიბის მოწმობას.

ზ) დანარჩენი მოწაფეებიდან სასწავლებლების შეგირდთა საერთო რიცხვის არა უმეტეს 20 პროც.

2. მიმდინარე სამოსწავლო წლის პირველი ნახევრის სწავლის ფულის შეტანის ვადა გაგრძელდეს 25 ნოემბრამდე.

განათ. სახ. კომისარი: **დ. კანდელაკი.**

პროფ. განათ. მთავარმმართველობის გამგე: **ნ. მგელაძე.**

საქმეთა მმართველი **ა. მიქაბერიძე.**

მდივანი **ალ. მიქელაძე.**

## პარტიული და საბჭოთა კალენდარი

### პარტიული

— ხუთშაბათს 16 ნოემბერს საღამოს 7 საათზე თბილისის კომიტეტის ბინაზე შესდგება ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის პლენუმი.

ყველა მწევრთა და კანდიტატთა დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი **მიხ. კახიანი.**

— ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის დადგენილების თანახმად ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მე 4 რაიკომი წინადადებას აძლევს ამხ. ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის ყველა სტუდენტებს და მუშათა ფაკულტეტების მსმენელთ პარტიის წევრებს და კანდიდატებს, რომელნიც იმყოფებიან პოლიტეხნიკუმის იაჩეიკის გარეშე და რომელნიც მუშაობენ სხვა იაჩეიკებში და რაიონებში სამი დღის ვადაში დღიდან ამა განცხადებისა, გატარდენ რეგისტრაციაში საღრიცხო სტატისტიკური ქვეგანყოფილებაში მე-4 რაიკომში პოლიტეხნიკუმის იაჩეიკაში გადასაგზავნად.

რაიკომის პ. მ. რუბენი.

## განცხადებები


### რუსთაველის თეატრი

შაბათს, 18 ნოემბერს

**ვიდრე ხვალ**

დადგმა ა. ფაღავასი.

კვირას 19 ნოემბერს

**ალლუმი**

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

(კრ. 578—4—2)

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

დღეს, 16 ნოებერს

**ლაკმე**

პარასკევს, 17 ნოემბერს

**დემონი**

დასაწყისი სრულ 8 საათზე

მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

573—1—1

**კვირას, 19 ნოემბერს, დილის 11 საათზე,**

განათლების მუშაკთა სახლში, (ბარონის ქ. უოფ 1 ლ ქალთა გიმნაზიის შენობა) შესდგება ს. ს. ს რ. განათლების მუშაკთა პროფკავშირის

**სკოლამდელი საქმის მუშაკთა სექციის**

**წევრების საერთო კრება**

დღის წესრიგი:

1) მოხსენება საორგანიზაციო ბიუროსი მისი მოღვაწეობის შესახებ.

2) მოხსენება საორგანიზაციო ბიუროსი სექციის მომავალ ამოცანების შესახებ.

3) სექციის დროებითი ბიუროს არჩევნები.

4) მიმდინარე საქმეები.

იმ შემთხვევაშიდაც, თუ დილის 11 საათისათვის არ შესდგება ქვორუმი, კრება 12 საათისათვის გაიხსნება დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავად.

საერთო კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვთ იმათ, რომლებიც არ არიან გატარებული რეგისტრაციაში.

(2—1)

### საკონსულტაციო

**სამკურნალო კაბინეთი ბავშვთა ექიმების:**

მედიცინის დოქტორის

**ვ. ვ. შენგელიძის** და ექიმი ქალის **გ. დ. ხანცინის**

ბავშვების მიღება ყოველ დღე (გარდა კვირისა) 1—3 საათამდე დღ. ძუძუმწოვარ ბავშვების კონსულტაცია ოთხშაბათობით და შაბათობით დღის 1—3 საათამდე. ყოველგვარი გამოკვლევანი. კრუზენშტეინის ქ. № 1, გოლოვინსკის კუთხე. ტელეფ. № 18—14. (517—25—4)

**ელექტრონის, რენტგენის და სინათლის**

### სამკურნალო

საწოლი ოთახებით

**მიხეილ გედევანიშვილისა**

თბილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

304—25—24)

**ქ. თბილისის 1 რაიონის სახალხო მოსამართლე**

იწვევს სასამართლოში ისაკ ისაკის ძე ზენილოვს, როგორც მოპასუხეს კამილა კაზიმიროვის ასულ ზენელოვთან განქორწინების შესახებ და აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნებისა არ გამოცხადდება დანიშნული იქნება საქმე და გამოტანილი დაუსწრებელი დადგენილება.

1-ლი რაიონის სახალხო სასამართლო იმყოფება სასამართლოს ქუჩაზე № 32. 1—1

**ქ. თბილისის 1 რაიონის სახალხო მოსამართლე**

იწვევს ნაზიმ ბასსა ზადეს სამმართველოში როგორც მოპასუხეს ვერა ბასსა ზადესთან განქორწინების შესახებ და აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნებისა არ გამოცხადდება დანიშნულ იქნება საქმე და გამოტანილი დაუსწრებელი დადგენილება.

1-ლი რაიონის სახალხო სასამართლო იმყოფება სასამართლოს ქ. № 32. 1—1

**დაიკარგა** სიმწიფის მოწმობა № 7816, 1920 წ. 19 ივლისის თარიღით. გაუქმებულად ჩაითვალოს. იოანე ფექუა. 534—1—1

15 **ნოემბრიდან იწყებს გამოსვლას**

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ახალი ქართული ყოველდღიური გაზეთი

**მუშა**

გაზეთი „მუშა" ისახავს მიზნათ

**უბრალო გასაგები ენით გააცნოს ჩვენი ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებს დღევანდელი ცხოვრების ვითარება**

გაუშუქოს მას სწორი გზა, გააცნოს მას მტერი და მოყვარე.

**თვით მუშებისავე შემწეობით ყოველ მხრივ გაარკვიოს მუშათა ცხოვრება, ყური დაუგდოს მის გასაჭირს და გამოსძებნოს მის სატკივარის გამოსამრთელებელი საშუალება.**

არც ერთი ქარხანა და ფაბრიკა, არც ერთი სახელოსნო, სადაც მუშის მარჯვენა ტრიალებს და ქმნის სახალხო მეურნეობისათვის საჭირო და სასარგებლო ნაშრომს არ დარჩება გაზეთ „მუშის" ყურადღების გარეშე.

**ამხანაგებო მუშებო!**

გაზეთი „მუშა" თქვენი გაზეთია, თვითეული თქვენთაგანი უნდა გახდეს ამ გაზეთის თანამშრომელი და გამავრცელებელი.

**გვწერეთ თქვენი** ყოფა ცხოვრების შესახებ.

დაურიდებლათ გაამათრახეთ ვინც ხელს გვიშლის საერთო მუშაობაში, ვინც მტრულად და ორგულად ეკიდება საქმეს.

ამ რაინდებს დღეს სინათლეზე გამოსვლა ღვთის რისხვასავით ეშინიათ, გაზეთის ფურცლებზედ მათი გამომზეურება ხელს შეუშლის მათ ბოროტ განზრახვას, ფრთას მოსჭრის მათ დამღუპველ საქმიანობას.

**გაავრცელეთ** ამხანაგებო **ეს გაზეთი**

ხელის მოწერა წინასწარვე შეიძლება შემდეგი მისამართით:

**რუსთაველის პროსპ. № 24.**

საგაზეთო ტრესტის კანტორაში.

**გაზეთი ღირს:** ერთი თვით თბილისში შინ მიტანით და პროვინციაში ფოსტით გაგზავნით **75 ათასი მანეთი.**

ცალკე ნომერი ყველგან **5 ათასი მანეთი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი: ბიჟელ მ. ხაუვარელიძე.

(კრ. 546 6—4)

**სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა**

# „ხორც-პროდუქტი"

ამით აცხადებს ყველას საყურადღებოთ, რომ 4 ნოემბერს შესდგა

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციების სავაჭრო-სამრეწველო

**ამხანაგობა „ხორც-პროდუქტის" საზედწოდებით**

სასაკლაო საქონლის და ხორცის პროდუქტების დასამზადებლად, როგორც შინაურ ისე საგარეო ბაზარზე.

აღნიშნულ ამხანაგობაში შედიან ტფილისის აღმასკომი და ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო.

ამხანაგობას აქვს ცენტრალური კანტორა ტფილისში და დამამზადებელი პუნქტები ტფილისის ქალაქის სასაკლაოებიდან და ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ შახტახტში.

ამხანაგობა უკვე შეუდგა ოპერაციების წარმოებას და მიაწოდებს სახელმწიფო დაწესებულებებს, საზოგადოებრივ კოოპერატიულ ორგანიზაციებს და კერძო პირებს მის მიერ დამზადებულ პროდუქტებს:

**სამუშაო და მეწველი საქონლის ხორცს**

(მროხის, ცხვრის და ღორისას) ხორცის პროდუქტებს

(მეხვებს, ლორს და სხვა).

**გადამღნარ. საჭმელ, და ტეხნიკურ ქონს**

**ცხვრის ტყავებს და ყოველ გვარ პროდუქტებს.**

ამხ-ის ცენტრალური კანტორა მოთავსებულია ჯორჯიაშვილის (ყოფილ ბარიათინსკის) ქ. № 6 სახლში.

ტფილისის დამამზადებელი პუნქტი იმყოფება ქალაქის სასაკლაოებთან, ტელეფონი 8—66.

(541—3—3)

გამგეობა.


საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა. კრუზენშტერნის ქ. № 4.